პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 127 (9595) | კვირა, 31 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობა კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი საქმეა (1-ლი გვერდი).
შეჯიბრება ჩაის უხვი მოსავლისათვის (1-ლი გვერდი).
მ. მაკაროვა. — საბჭოთა ვაჭრობის შესახებ (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — საბჭოთა მშენებლობის საკითხები რაიონულ გაზეთში (მე-3 გვერდი).
გ. კოკელაძე. — გამოჩენილი [illegible] (მე-3 გვერდი).
საფრანგეთის ზნე-[illegible] ბედი (მე-3 გვერდი).
გერმანელი ბავშვების ორი ბედი (მე-4 გვერდი).
მშვიდობის პაქტისათვის! (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

[illegible]

...თვის დამახასიათებელია კეთილშობილური თვისებები — მორალური სიწმინდე, ურთიერთმეგობრობის გრძნობა, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარული.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო დედობრივ ზრუნვას იჩენს ბავშვებისათვის — თავის მომავალი მშენებლებისათვის. მათთვის გახსნილია სკოლები და პიონერთა ბანაკები, პარკები და სტადიონები, კლუბები და თეატრები. ბავშვებისათვის გამოდის ჟურნალ-გაზეთები, მილიონიანი ტირაჟით წიგნები. მარტო საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების სახელმწიფო ქსელი მომსახურებას უწევს 2 მილიონამდე ბავშვს. შექმნილია მრავალი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულება: 1.200-ზე მეტი პიონერთა სასახლე და სახლი, 400-ზე მეტი სასპორტო სკოლა, 400-ზე მეტი ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, 100-მდე საბავშვო და თოჯინების თეატრი.

საბჭოთა მთავრობა უდიდეს სახსრებს ხარჯავს სახალხო განათლებისათვის, შემოღებულია საყოველთაოსავალდებულო შვიდწლიანი სწავლება. მარტო ომისშემდგომ წლებში აგებულ იქნა 23.500 სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი საბჭოთა კავშირში ამჟამად 57 მილიონს შეადგენს.

საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენს და დახმარებას უწევს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, დიდი სიყვარულით ზრდის ბავშვებს, რომლებმაც მშობლები დიდ სამამულო ომში დაკარგეს.

ბავშვის დაბადება ბედნიერი მოვლენაა საბჭოთა ოჯახში.

მილიონობით კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც ბავშვთა ბედნიერი ცხოვრების ინტერესებს იცავენ, შთაგონებული არიან სოციალიზმის ქვეყნის — საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითით, საბჭოეთში ნორჩი თაობის საყოველთაო სიყვარულისა და ყურადღების მაგალითებით.

მოზარდი თაობის აღზრდისათვის დაუღალავ მზრუნველობას იჩენენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. იქ მთავრობებისა და ხალხთა საზრუნავია არა გამალებული შეიარაღება და ომისათვის მზადება, არამედ მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა და ხალხის კეთილდღეობა. ამჟამად დედისა და ახალშობილ ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად ჩინეთში შექმნილია 30 ათასი სამეანო პუნქტი, ბავშვთა კონსულტაცია და სხვა სამედიცინო დაწესებულება. აქ დაწყებითს სკოლებში სწავლობს 50 მილიონი ბავშვი. ბავშვთა აღზრდისა და სკოლების დემოკრატიზაციის საქმეში დიდი მიღწევები

[illegible]

...ში 300 ათასი ბავშვი გაიყიდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო ასაკის 4 მილიონამდე ბავშვი არავითარ განათლებას არ იღებს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში სასკოლო ასაკის 19 მილიონზე მეტი ბავშვი არ სწავლობს.

განსაკუთრებით მძიმეა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ბავშვთა ხვედრი. აფრიკის კოლონიური მოსახლეობის ნახევარი 5 წლის ასაკამდე კვდება. ბელგიის კონგოში კოლონიზატორების ნახევარი საუკუნის ბატონობის განმავლობაში მოსახლეობა ერთი-სამად შემცირდა. სუდანში ბავშვთა სამი მეოთხედი დაავადებულია ტუბერკულოზით, მალარიითა და სხვა სენით. აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ბავშვის იაფი შრომის ექსპლოატაციამ ყველაზე ფართო მასშტაბი მიიღო. ბავშვები მუშაობენ მტვერში, შეხუთულ ჰაერში, თამბაქოსა და აბრეშუმის ფაბრიკებში, პლანტაციებში მცხუნვარე მზის ქვეშ.

ბავშვები ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა აგრესიული პოლიტიკის პირველ მსხვერპლს წარმოადგენენ. ამერიკელთა ინტერვენციის შედეგად კორეაში ასეულ ათასობით ბავშვი დაიღუპა და იღუპება. აგრესიულმა ომმა კორეელ ბავშვებს შიმშილი, სილატაკე და სიკვდილი მოუტანა.

იმპერიალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ახალი ომის მომზადებას ხმარდება. ამ ქვეყნების მმართველი წრეები ცდილობენ საზარბაზნე ხორცად აღზარდონ ბავშვები. ამერიკის შეერთებულ შტატებში რადიო, ტელევიზია, კინოფილმები, ლიტერატურა და იდეოლოგიური ზეგავლენის სხვა საშუალებანი გამოყენებულია ბავშვების გასახრწნელად. „ჩვენი ახალგაზრდები დაუნდობელი და გაბედული მკვლელები უნდა გახდნენ“ — ასეთი ცინიკური სიტყვებით მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალნი ახალგაზრდა ამერიკელებს.

კაცობრიობას ჯერ კიდევ არ დავიწყებია მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, რომლის შედეგად ევროპის 13 მილიონმა ბავშვმა დაკარგა მშობლები, თავშესაფარი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მილიონობით მშრომელი ყველა ქვეყანაში უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის, ომის გამჩაღებელთა ალაგმვისათვის, კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის დიადი დროშის ქვეშ.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ზემო სვანეთის რაიონის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ზემო სვანეთის რაიონის სახელწოდების შესათანხმებლად რაიონის ცენტრის სახელწოდებასთან ზემო სვანეთის რაიონს ეწოდოს მესტიის რაიონი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ვ. ცხოვრებაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1953 წ. 29 მაისი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ქვემო სვანეთის რაიონის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ქვემო სვანეთის რაიონის სახელწოდების შესათანხმებლად რაიონის ცენტრის სახელწოდებასთან ქვემო სვანეთის რაიონს ეწოდოს ლენტეხის რაიონი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ვ. ცხოვრებაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1953 წ. 29 მაისი.



**სურათზე:** თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 47 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.
ფოტოეტიუდი გ. ვახტანგაძისა.

## ზრუნვა მეტალურგთა ბავშვებისათვის

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქ რუსთავში მეტალურგებისა და მშენებლების ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება 5 საბავშვო ბაღი და 3 ბაგა. ამ დღეებში ქალაქის საავადმყოფოს ახალ შენობაში ბავშვებისათვის გამოიყო 60-საწოლიანი განყოფილება. ქალაქში რეგულარულად ეწყობა აგრეთვე დედათა და ბავშვთა კონსულტაციები.

ზაფხულს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 400-ზე მეტი ბავშვი გაატარებს სურამის პიონერთა ბანაკში, ხოლო მშენებლებისა და მემონტაჟეთა ბავშვები დაისვენებენ კოჯრისა და სურამის საბავშვო ბაღებში.

მხიარულად და შინაარსიანად გაატარებენ დროს ქალაქში დარჩენილი ბავშვებიც. მათთვის ორ ადგილას ეწყობა გამაჯანსაღებელი მოედნები. ერთ-ერთი ასეთი მოედანი მოეწყობა კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკში.

## პაწიების მეორე ოჯახი

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის საბავშვო ბაგას, რომელსაც მალე 25 წელი შეუსრულდება, მრავალოთახიანი კეთილმოწყობილი შენობა უკავია. მის გარშემო დარგულია დეკორაციული მცენარეები. ბაგაში 4 წლის ასაკამდე 65 ბავშვი იზრდება.

ბაგა შესანიშნავად არის მოწყობილი. სპეციალურ დარბაზში და ეზოში სხვადასხვა სახის უამრავი სათამაშოა, სამზარეულოში ყოველთვის მაღალხარისხოვან კერძებს ამზადებენ, ხილითა და ბოსტნეულით ბავშვები უზრუნველყოფილი არიან.

სტახანოველი მუშა მარიამ ყარაულაშვილი ფაბრიკის ამ ბაგაში გაიზარდა. ახლა აქ მისი შვილი ნათელა იზრდება. პაწიების — მერი აბრამიშვილის, ნანი ტატიშვილის, დავით მიქელაძის დედები ფაბრიკის მოწინავე მუშაკებად ითვლებიან.

24 წლის განმავლობაში აქ 1.200-ზე მეტი ბავშვი აღიზარდა.

## 500 სეზონური საბავშვო ბაგა

საბჭოთა დედა კომუნიზმის აქტიური მშენებელია. ათიათასობით ქალი ნაყოფიერად მუშაობს საწარმო-დაწესებულებებში, ახალ მშენებლობებზე. მათ იციან, რომ მათი პატარა შვილები გარემოსილი არიან მზრუნველობით, შესანიშნავად უვლიან საბავშვო ბაგებში.

რესპუბლიკაში მუშაობს 323 მუდმივი საბავშვო ბაგა, რომლებშიც 13.316 ბავშვს უვლიან. უახლოეს ხანში სოფლად კოლმეურნეობებში დამატებით გაიხსნება აგრეთვე 500-მდე სეზონური საბავშვო ბაგა. ისინი მოემსახურებიან კოლმეურნეთა 14.000 ბავშვს.

## 91.000 მოსწავლე აგარაკებზე

დიდი მზრუნველობით არიან გარემოსილი საბჭოთა ბედნიერი ბავშვები. წელს ჩვენი რესპუბლიკის სანატორიუმებში, პიონერთა ბანაკებში, გამაჯანსაღებელ მოედნებზე დაისვენებს 91.000-ზე მეტი ბავშვი, შარშანდელზე 5.400 ბავშვით მეტი.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში სხვადასხვა ადგილებზე 83 პიონერბანაკი გაიხსნება, აქედან 60-მდე იქნება საქალაქო ბანაკი, სადაც 36.989 ბავშვი გაიგზავნება. მარტო ლესელიძეში, წავერში, წყნეთში, ახალ ათონში, გუდაუთში და სხვაგან დაისვენებს რკინიგზელთა 4.470 ბავშვი.

## მათ დასაცავად!

**არის ერთი გაზაფხული, რომელიც წელიწადის დროთა კალენდარულ ცვალებადობას არ ექვემდებარება.**

**ეს არის კაცობრიობის მარადიული გაზაფხული — ნორჩი თაობა.**

**მაგრამ ოკეანეს გაღმა ჰქრის ხორშაკი და ამ გაზაფხულის ყვავილებს შტოებს ულეწავს. მიაქვს ქარს ველად მოწყვეტილი ყვავილები.**

**ამ ქარის ჩადგომას უნდა ეცადოს ყოველი პატიოსანი ადამიანი.**

**დაეხეტებიან ბედნიერებაწართმეული ბავშვები ბედის საძებნელად თურქეთისა და ამერიკის შარაგზებზე, ტოვებენ მტვერში ნაკვალევს.**

**შეიძლება მათი დამსკდარი ნამცეცა ფეხის ნატერფალს ქარმა წააყაროს ქვიშა და მტვერი, მაგრამ კვალი იმათი ბოროტებისა, ვინც პატარებს ერეკება ღია ცისა და მიწის ანაბარა, არ დაიფარება.**

**კაცობრიობას არ დავიწყებია ბუხენვალდისა და ოსვენციმის შავი ამბავი. კაცობრიობას აძრწუნებს ფხენიანისა და კოჯედოს ტრაგედია. ჯერ არ** დატკეპნილა ბორცვი ორმოებისა, რომლებშიც სამარადისო ძილით სძინავთ ფაშისტთა მიერ დედებთან ერთად ცოცხლად ჩაყრილს, მათს გულმკერდს მინდობილ ჩვილებს. ადამიანებს ახლაც ყურში შემზარავად ჩაესმით ყრუ კივილი პატარებისა, რომელთაც „დუშეგუბკა“ დედებთან ერთად მიაქროლებდა მაიდანეკის ორმოებისაკენ.

გაიშლებოდნენ ეს კვირტები ყვავილებად, დაეწაფებოდნენ მზესა და ჰაერს, სითბოსა და სიცოცხლეს, ივლიდნენ სკოლებში, დედებს გულს გაუხარებდნენ. აღარ არიან კვირტშივე დაწყვეტილი ეს ყვავილები.

მაგრამ არის პატარებისათვის ოსვენციმზე და მაიდანეკზე დიდი ტრაგედია — ნელი სიკვდილის ტრაგედია.

...ცხრაასიანი წლების გალიციელი კლასიკოსის ვასილ სტეფანიკის გმირმა გრიც ლეტუჩმა, ძაღლური ცხოვრებით ჰკუადაკარგულმა, შთვარიანი ღამით მდინარეში გადააგდო თავისი პაწია გოგონა დუცია. უფროსს, განძუნიას, რომ დაუპირა გადაგდება, მან იკივლა:

— არ დამახრჩო, არ დამახრჩო.

— კარგი, — შეიწყნარა მამამ, — რაკი მთხოვ, არ დაგახრჩობ. მაგრამ ახლა დუცია ბედნიერია. შენ კი დაიტანჯები მთელ შენს სიცოცხლეში.

ყურებსაც არ ძალუძთ ამ საშინელებათა მოსმენა... ამ ტრაგედიას დღესაც განიცდიან ნეაპოლელი მამები და პატარები გამოქვაბულ „მერჯოლინში“. თურქეთი სავსეა მაჭანწალა ბავშვებით, რომლებიც ნამცეცებს ეძებენ სანაგვე ყუთებში.

გვალვა და ხორშაკი წყვეტს და აჭკნობს კაცობრიობის გაზაფხულის ნორჩ ყვავილებს კაპიტალის ქვეყნებში. ომისათვის მზადებით გამოწვეული შიმშილი ნთქამს მილიონობით პატარების სიცოცხლეს მარშალიზებულ ქვეყნებში.

ეს სიცოცხლე უნდა დავიცვათ.

დაე ყვავილებად იშლებოდნენ კვირტები ტოტებზე. ნუ დავანებებთ ომის ქარიშხალს მათს მოწყვეტასა და დაჭკნობას.

ვლ. თორდუა.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებლისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის დ. ე. არაყიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილის სახელი თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელს და ამიერიდან ეწოდებოდეს დ. არაყიშვილის სახელობის თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ვ. ცხოვრებაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1953 წ. 29 მაისი.

## ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობა კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი საქმეა

★

**საუბარი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივან ზ. პ. ტუმანოვასთან.**

★ ★

ჩვენს ქვეყანაში პიონერები და მოსწავლეები გარემოსილი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვით. ახლა ბავშვებს გაცხოველებული მუშაობა აქვთ — გამოცდებს აბარებენ. მალე დაიწყება დიდი და სასიხარულო საზაფხულო დასვენება. პიონერთა ბანაკები, ტურისტული ბაზები, სტადიონები, პარკები, კლუბები ემზადებიან ბავშვების შესახვედრად.

მრავალი მილიონი მოსწავლე ისვენებს ქალაქგარეთა პიონერბანაკებში. ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე ამ ბანაკების შენახვაზე დაიხარჯა ხუთ მილიარდ მანეთზე მეტი. მიმდინარე ზაფხულში მარტო პროფკავშირები გახსნიან პიონერთა 7 ათასამდე ბანაკს. იქ დაისვენებს მუშა-მოსამსახურეთა 2.750 ათასი შვილი. წელს გათვალისწინებულია ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობაზე დაიხარჯოს ერთ მილიარდ მანეთზე მეტი.

ხორციელდება პიონერთა ახალი ბანაკების დიდი მშენებლობა. წელს მთავრდება პიონერთა სტაციონარული ბანაკების აგება ერთ ცვლაში 20 ათასზე მეტი კაცისათვის, აშენდა ვოლოგდის პიონერთა ბანაკის პირველი რიგი. ომსკის მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის ეწყობა ბანაკი ჩერნოლუჩინსკის ტყის აგარაკზე. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი ურალის ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში აშენებს ბანაკს ათასი კაცისათვის. ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის ასეთივე ბანაკის ასაშენებლად ასიგნებულია 7.700 ათასი მანეთი.

ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობა კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი საქმეა. წელს კომკავშირული ორგანიზაციები პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ბევრად უფრო ადრე შეუდგნენ ზაფხულისათვის მზადებას. მთელი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით, რომლებიც ყოველნაირად ზრუნავენ პიონერთა ბანაკების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი ქსელის გაფართოებისათვის.

მიღებულია ზომები კადრების დროზე შესარჩევად.

გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“ პიონერხელმძღვანელებისა და მასწავლებლების დასახმარებლად უშვებს წიგნების სერიას.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის პიონერთა ბანაკების შექმნას, სადაც დაისვენებენ ის მოსწავლეები, რომლებიც ქალაქში რჩებიან. მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ნოვოსიბირსკის კომკავშირული ორგანიზაციების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქალაქის ბანაკებში საინტერესო, შინაარსიანი მუშაობის წარმოებისათვის არსებობს დიდი შესაძლებლობანი. ნოვოსიბირსკში ქალაქის ბანაკებში ზაფხულს გაატარებს 30 ათასზე მეტი პიონერი და მოსწავლე.

საინტერესო დასვენება მოელით სტალინგრადელ ბავშვებს. ქალაქის ფარგლებში მოეწყობა პიონერთა 20 ბანაკი. სტალინგრადის ოლქის 20 ათასზე მეტი ბავშვი ზაფხულს გაატარებს ქალაქგარეთა ბანაკებში. ათასობით მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს ტურისტული საგზურებით საინტერესო მგზავრობაში.

კომკავშირის სტალინგრადის საოლქო კომიტეტმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად შეიმუშავა მშობლიურ მხარეში ექსკურსიათა და ლაშქრობათა მოწყობის საინტერესო მარშრუტები.

ზაფხულში ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში მოეწყობა ნორჩ ტურისტთა შეკრებები, ფიზკულტურული შეჯიბრებები, სიმღერის სასკოლო დღესასწაულები, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება.

წელს უკეთესად დაისვენებენ უფროსი კლასების მოსწავლეები. საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით 100 ათასი უფროსკლასელის საზაფხულო დასვენების მოსაწყობად გამოყოფილია დიდი სახსრები.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება სოფლის პიონერთა და მოსწავლეთა დასვენებისადმი. გამოყოფილია სკოლები, სადაც შეიქმნება პიონერთა ნაკრები რაზმეულები. თუ შარშან 77 ათასი ასეთი რაზმი იყო, ახლა ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდება.

შორს არ არის ის დღე, როცა პიონერთა ბანაკებზე აფრიალდება წითელი ალმები. ახლა მეტწილ ბანაკებში დამთავრებულია შენობების რემონტი, კეთილმოწყობილია ტერიტორია, შეძენილია ინვენტარი. ბანაკებში ყოფნის ერთიანი ვადის დაწესება, კვებისათვის ასიგნობათა მნიშვნელოვანი გადიდება, ზაფხულისათვის ბანაკების მომზადების დროული ორგანიზაცია და კონტროლი ქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის პიონერთა და მოსწავლეთა ჯანსაღი და კულტურული დასვენება. (საკდესი).

## შეჯიბრება ჩაის უხვი მოსავლისათვის

### ზუგდიდელთა პასუხად

ლანჩხუთი. („კომუნისტის“ კორ.). ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბეჯითად მუშაობენ სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 150 ჰექტარი პლანტაცია კარგად არის მოვლილი. კოლმეურნეობის ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მიიღოს 50 ათასი კილოგრამი ნედლეული, ხოლო ჰექტარზე მოსავლიანობა აიყვანოს 4 ათას კილოგრამამდე. ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში მრავალი მეჩაიე დაწინაურდა. ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი შურა ჩხაიძე ხელმძღვანელობს, რაიონში ყველაზე ადრე გაანაღდა ჩაის კრეფის მაისის დავალება.

ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ლანჩხუთელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ცხაკაიას რაიონის მშრომელები და თავის მხრივ იკისრეს ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოსავლიანობა აიყვანონ 3 ათას კილოგრამამდე.

### გეგმის გადამეტებით

წალენჯიხა. (სპეც. კორ.). ამ დღეებში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებაზე განიხილეს ზუგდიდელ მეჩაიეთა მიმართვა. მიმართვის საპასუხოდ რაიონის მშრომელები ჩაებნენ შეჯიბრებაში და იკისრეს წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა პირობა დადეს 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყონ 3.460 კილოგრამი ჩაის მოყვანა, ხოლო სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 35 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 5.000 კილოგრამისა.

### გამოწვევა მიღებულია

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). ზუგდიდელთა მიმართვამ ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა რაიონის მეჩაიეთა შორის. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებაზე მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წელს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 150 ჰექტარზე გააშენონ ჩაის ახალი პლანტაცია. მათ მიიღეს ლანჩხუთელთა გამოწვევა, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ გამოიწვიეს გეგეჭკორის რაიონი.



**სურათზე:** მახარაძის რაიონის კოლმეურნეობის — „გზა კომუნიზმისაკენ“ წევრი ცისანა ლომაძე, რომელიც იბრძვის ნახევარ ჰექტარზე 7.000 კილოგრამი ჩაის მიღებისათვის.
ფოტო ვ. ზარიძისა.

კომუნისტი

კვირა, 31 მაისი, 1953 წ. № 127 (9595).

# საბჭოთა ვაჭრობის შესახებ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. ამჟამად, როცა საბჭოთა ადამიანების ღონისძიებებით წარმატებით წყდება კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, იზრდება და ფართოვდება სსრ კავშირის ყველა მოქალაქეთა მოთხოვნილებანი, საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

## სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვანი პირობა

სსრ კავშირში საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის ობიექტური საჭიროება გაპირობებულია სოციალისტური წარმოების ორი ფორმის — სახელმწიფოებრივი — საყოველთაო-სახალხო და საკოლმეურნეო — ჯგუფური ფორმების არსებობით. სახელმწიფო საწარმოებში წარმოების საშუალებანი და პროდუქცია მთელი ხალხის საკუთრებას წარმოადგენს. სახელმწიფო უშუალოდ განაგებს თავისი საწარმოების პროდუქციას მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. კოლმეურნეობებში კი, თუმცა მიწა და წარმოების ძირითადი იარაღები სახელმწიფოს ეკუთვნის, პროდუქცია ცალკეული არტელების საკუთრებას შეადგენს. კოლმეურნეობებს არა სურთ თავიანთი წარმოების პროდუქცია განასხვისონ სხვანაირად, თუ არ საქონლის ფორმით, და მათ ნაცვლად სურთ მიიღონ სამრეწველო საქონელი. საბჭოთა ვაჭრობა ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირის აუცილებელი ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას.

„ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება რომ მძლავრად ჩქეფდეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, საჭიროა მოგვეპოვებოდეს კიდევ ერთი პირობა, სახელდობრ — გაშლილი საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენი ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა დაფარული იყოს სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, ფარდულების უხვი ქსელით. საჭიროა, რომ ამ ბაზების, მაღაზიების, ფარდულების არხებით შეუჩერებლივ წარმოებდეს საქონლის ცირკულაცია წარმოების ადგილებიდან მომხმარებლამდე“ (ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც., გვ. 582).

უკანასკნელ დროს ჩვენს პრესაში დაიბეჭდა საკმაოდ ბევრი პროპაგანდისტული სტატია, რომლებშიც ძირითადი ყურადღება მიქცეული ჰქონდა პროდუქტების გაცვლაზე გადასვლის პრობლემას, ხოლო ვაჭრობის განმტკიცებასა და განვითარებაზე ან არაფერი იყო ნათქვამი, ან ნათქვამი იყო გაკვრით. ეს ობიექტურად ნიშნავს იმ უდიდესი როლის შეუფასებლობას, რომელიც ვაჭრობას აქვს საბჭოთა ეკონომიკაში. ეს შეუფასებლობა თეორიულად უმართებულოა, ხოლო პრაქტიკულად საზიანო. პროდუქტების გაცვლამ საქონელბრუნვა შეიძლება შეცვალოს მხოლოდ იდეალურად მოწყობილი საბჭოთა ვაჭრობის შედეგად. ეს მომავლის საქმეა. საქონელბრუნვის საკითხებისადმი ყურადღების შესუსტებამ და მით უმეტეს საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივ განვითარების საჭიროების დავიწყებამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს სახალხო მეურნეობას, მოშალოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება.

საბჭოთა ვაჭრობა წარმოადგენს განსაკუთრებულ ვაჭრობას, რომელიც მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. ეს არის ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ და უსპეკულანტებოდ. მას ახორციელებენ გაერთიანებული სოციალისტური მწარმოებლები (სახელმწიფო საწარმოები, კოლმეურნეობები, კოოპერაცია).

საბჭოთა ვაჭრობა თავისი სოციალური ბუნებით და თავისი დანიშნულებით თვისებრივად განსხვავდება კაპიტალისტური ვაჭრობისაგან. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ვაჭრობა მთლიანად დაქვემდებარებულია კაპიტალისტური მოგების მიღების ამოცანისადმი. ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა ვაჭრობის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილებანი, ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ქვეყნის ეკონომიკაში საბჭოთა ვაჭრობის როლს განსაზღვრავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედება. ამ კანონის მოთხოვნის შესაბამისად ნაციონალური შემოსავალი, რომელსაც სსრ კავშირის მშრომელები ქმნიან, იყოფა დაგროვების ფონდად და მოხმარების ფონდად. მოხმარების ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა ვაჭრობის მეშვეობით გადადის მშრომელთა პირად განკარგულებაში. საბჭოთა ვაჭრობაში, როცა მშრომელები მოახდენენ თავიანთი ფულადი შემოსავლის რეალიზაციას, მთავრდება პროცესი განაწილებისა საზოგადოების თითეული წევრის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

საბჭოთა ვაჭრობის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია ფულის მიმოქცევასთან, რადგან საქონლის მოძრაობა წარმოებიდან მომხმარებლამდე ფულის მეშვეობით ხორციელდება. სახელმწიფოს ხელში საქონლის მასის გადიდება და საბჭოთა ვაჭრობის მეშვეობით საქონლის შეუფერხებელი რეალიზაცია ზრდის საბჭოთა ფულის სიმტკიცეს და მის მყიდველობით უნარს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავენ იმას, რომ მომავალშიც, უახლოეს ისტორიულ პერიოდში, განავითარონ საბჭოთა ვაჭრობა, განუწყვეტლივ გააფართოონ საქონელბრუნვა, გააძლიერონ საბჭოთა ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში.

საქონლის მოძრაობა წარმოებიდან მომხმარებლამდე, რაც საბჭოთა ვაჭრობის მეშვეობით ხორციელდება, უბრალო ტექნიკური ფუნქცია როდია, იგი წარმოებასა და მომხმარებელს შორის ეკონომიური კავშირის რთული პროცესია. საქონელბრუნვის ყოველმხრივ განვითარება ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის ტემპის შემდგომ დაჩქარებას, სტიმულს აძლევს სოციალისტური წარმოების გაფართოებას.

## საბჭოთა ვაჭრობა და წარმოება

საბჭოთა ვაჭრობა მარტო საქონლის რეალიზაციით როდი განისაზღვრება, იგი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედების შედეგად მშრომელთა გადამხდელუნარიანი მოთხოვნა განუწყვეტლივ მცირდება, ამის გამო საქონლის გასაღება ძნელდება. ეს ამწვავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, იწვევს ეკონომიურ კრიზისებს, ანელებს წარმოების ზრდას.

სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედების მეოხებით მოთხოვნილებათა ზრდა, მთელი მოსახლეობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნილება სისტემატურად უსწრებს წარმოების ზრდას, წინ უბიძგებს მას. საქონლის შეუფერხებელი და სწრაფი მოძრაობა მომხმარებლამდე აჩქარებს საშუალებათა ბრუნვას მიმოქცევის სფეროში, ათავისუფლებს მათ წარმოების სფეროში გამოსაყენებლად. ეს აჩქარებს დაგროვების ტემპს, გაფართოებული რეპროდუქციის ტემპს.

პარტია და მთავრობა სოციალისტური წარმოების ზრდის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე წლითიწლობით ამცირებენ მასობრივი მოხმარების საგნების საცალო ფასებს. ომისშემდგომ პერიოდში საცალო ფასები ექვსჯერ შემცირდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოსახლეობის მყიდველობითი მოთხოვნილება და სახალხო მოხმარების დონე.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა იწვევს იმას, რომ არსებითად იცვლება მყიდველობითი მოთხოვნილება, რომელიც სულ უფრო გადადის მაღალხარისხოვან საქონელზე და სულ უფრო მრავალმხრივი ხდება. ეს მოითხოვს წარმოებაზე ვაჭრობის ზეგავლენის გაძლიერებას საქონლის გამოშვების გადიდების, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოთა ვაჭრობა მოვალეა მტკიცედ და კვალიფიციურად ასრულებდეს წარმოებაზე აქტიური ზეგავლენის მომხდენის როლს. სოციალისტურ წარმოებას შეუძლია გეგმაშეწონილად და სწრაფად აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მზარდ და მრავალმხრივ მოთხოვნილებას. მაგალითად, საბჭოთა ფეიქრებმა, გაითვალისწინეს რა მყიდველთა მოთხოვნები, გააფართოეს იმ სახეებისა და იმ მოხატულობის ქსოვილების წარმოება, რომლებზეც უფრო დიდი მოთხოვნილებაა, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. კერძოდ, ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კომბინატის, მუშა თევდორე ზინოვიევის სახელობის ივანოვოს საქსოვ-გამომყვანი ფაბრიკის კოლექტივები ფართო ასორტიმენტით უშვებენ მაღალხარისხოვან ქსოვილებს, რაც უზრუნველყოფს მათს სწრაფ რეალიზაციას. მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა თეთრეულის № 16 ფაბრიკა „კრასნაია შვეია“ პროდუქციაზე. და, პირიქით, რეალიზაცია პირველი საჩითავი ფაბრიკის საქონლისა, რომლის ხარისხი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, დიდ სიძნელეებს ხვდება, რის გამო ყოვნდება საქონელბრუნვა.

ჩვენი საბჭოთა ფეხსაცმლის მრეწველობა, აკმაყოფილებს რა მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, უღრესად ფართო ასორტიმენტით ამზადებს კარგ ფეხსაცმელს. კარგი ხარისხის ფეხსაცმელს აწვდიან მაღაზიებს ფაბრიკები „პობედა“ № 2 და „ზარია სვობოდი“. მათი პროდუქცია მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაც არ შეიძლება ითქვას თბილისისა და კუზნეცკის ფეხსაცმლის ფაბრიკებზე, რომლებიც დაბალი ხარისხის ფეხსაცმელს უშვებენ.

ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობა მნიშვნელოვანი რაოდენობით ამზადებს კარგ საქონელს. მაგრამ ამ მრეწველობის ბევრი საწარმოს პროდუქცია დაბალი ხარისხისაა. მაგალითად, ცუდ სამართებლებს ამზადებს და სავაჭრო ქსელში გზავნის ქარხანა „ტრუდი“, დაბალი ხარისხის ბაიანებსა და გარმონებს აწვდიან სავაჭრო ქსელს ნოვოსიბირსკის, ვოლოგდისა და კიროვის სარეწაო საბჭოები.

საბჭოთა მომხმარებელს არა სურს იყიდოს დაბალი ხარისხის საქონელი. სავაჭრო ქსელში მოხვედრილი ეს საქონელი გაუსაღებელი რჩება. ამ საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომა და ნედლეული დაკარგულია საბჭოთა საზოგადოებისათვის.

სავაჭრო ორგანიზაციები მოწოდებული არიან გააძლიერონ მომთხოვნელობა საწარმოებისადმი, შეასრულონ კიდევ უფრო ქმედითი როლი პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მათ საჭირო უფლებანი და ეკონომიური შესაძლებლობანი აქვთ. საქონლის ხარისხისათვის და ასორტიმენტის გაფართოებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ორგანიზაციების წინასწარ შეკვეთებს მრეწველობისადმი, სამეურნეო ხელშეკრულებებს, ხარისხის ინსპექციის მუშაობას და ა. შ. მაგრამ ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია არ იყენებს თავის უფლებებსა და შესაძლებლობებს, არ მიმართავს სანქციებს წუნისმკეთებლებისადმი, და ამის შედეგად სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ აღწევს დაბალი ხარისხის საქონელი. სავაჭრო ორგანიზაციები ის ბარიერი უნდა გახდნენ, რომელიც არაკეთილხარისხოვან საქონელს სავაჭრო ქსელში არ გაუშვებს.

ვაჭრობა ხელს უწყობს აგრეთვე მრეწველობის ახალი დარგების განვითარებას, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ. მაგალითად, განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილების გავლენით განუხრელად ფართოვდება ელექტროსათბო საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა, მაცივართა, რადიომიმღებთა, ველოსიპედთა და სხვ. წარმოება.

ჩვენი მრეწველობის ყველა დარგს, მათ შორის მძიმე მრეწველობის საწარმოებსაც, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების დიდი შესაძლებლობანი აქვთ. საწარმოთა ხელმძღვანელობამ ყაირათიანად უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობანი და არსებითად გააფართოოს მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოება.

მოხმარების საგნების წარმოების გაშლის საქმეში დიდი ამოცანები დგას ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის წინაშე.

სავაჭრო ორგანიზაციებს ქალაქად და სოფლად სათანადო ხელშეკრულებათა დადების გზით შეუძლიათ უაღრესად სერიოზული გავლენა მოახდინონ მოხმარების საგნების გამოშვების გადიდებაზე, ხელი შეუწყონ ადგილობრივი რესურსების უსწრაფეს მობილიზაციას. 1952 წელს ბევრმა სავაჭრო ორგანიზაციამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ადგილობრივი რესურსების გამოყენების საქმეში. მაგალითად, სტავროპოლის სამხარეო სამომხმარებლო კავშირმა ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობისაგან გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღო სამკერვალო ნაწარმი, გალანტერია, ავეჯი, რამაც მას საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა სოფლის მოსახლეობის მომსახურება.

საბჭოთა ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქონელბრუნვის ყოველმხრივ განსავითარებლად სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესურსების მობილიზაციის საქმეში. სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა გახდეს მარჯვე, იაფი და ხელსაყრელი შუამავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვასა და გაყიდვაში. კოოპერაციას შეუძლია არა მარტო შეკრიბოს არსებული სასაქონლო რესურსები, რომლებიც დაქსაქსულია ათეულ ათასობით კოლმეურნეობაში, არამედ სტიმულიც მისცეს მათს ზრდას.

## ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ საქონელბრუნვა

სსრ კავშირში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდასთან, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდებასთან ერთად განუწყვეტლივ ფართოვდება საქონელბრუნვა.

სოციალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელია საქონელბრუნვის განუხრელი ზრდა. 1928 წლიდან 1940 წლამდე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვა (შესადარ ფასებში) 4,6-ჯერ გაიზარდა. ომისშემდგომ წლებში საქონელბრუნვა 2,9-ჯერ გადიდდა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. მეხუთე ხუთწლედში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა დაახლოებით 70 პროცენტით გაიზრდება.

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ დიდდება კვების პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის მიყიდვა მოსახლეობისათვის. მაგალითად, 1951 წელს მოსახლეობას სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში მიეყიდა: ხორცი და ხორცის პროდუქტები — 80 პროცენტით, ერბო-კარაქი — 80 პროცენტით, შაქარი — 70 პროცენტით, ქსოვილები — 80 პროცენტით, ფეხსაცმელი — 50 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ეს მკაფიოდ მოწმობს ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

საქონელბრუნვის ზრდას თან ახლავს სავაჭრო ქსელის მნიშვნელოვანი გადიდება, მისი ტექნიკური აღჭურვილობისა და სპეციალიზაციის გაძლიერება. სავაჭრო საწარმოები სულ უფრო მზარდი ოდენობით იარაღდებიან სამაცივრო და სხვა მოწყობილობით. ყოველივე ამან გაადიდა მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების შესაძლებლობანი.

ამასთან ერთად ვაჭრობის დარგში ჯერ კიდევ გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც სერიოზულად აძნელებენ საქონელბრუნვის განვითარებას. სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და სუსტად იბრძვიან იმისათვის, რომ საქონელბრუნვის სტრუქტურა შეიცვალოს მოთხოვნილების შეცვლის შესაბამისად, უხეშ შეცდომებს უშვებენ ვაჭრობის დაგეგმვაში და ჩვენი ქვეყნის ოლქებსა და რესპუბლიკებში საქონლის შეტანაში. მთელ რიგ ადგილებში დაბალია ვაჭრობის კულტურა, ცუდად არის მოწყობილი მომხმარებელთა მომსახურება. მოსახლეობის განსაკუთრებით დიდ საყვედურებს იწვევს ვაჭრობის ორგანიზაცია სოფლად.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია საქონელბრუნვის შემდგომი გაშლის საკითხებს, დასახა სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის არსებითი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის ღონისძიებანი, განსაზღვრა საბჭოთა ვაჭრობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის გზები.

მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებების რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით პარტია და მთავრობა იღებენ ზომებს საქონელბრუნვის შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის. პარტია და მთავრობა ვაჭრობის მუშაკებს უსახავენ ამოცანას გადაჭრით გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება.

თავიანთი პასუხსაგები ამოცანების შესასრულებლად ვაჭრობის მუშაკები მოწოდებული არიან უწინარეს ყოვლისა ყოველმხრივ შეისწავლონ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება და უფრო კვალიფიციური ხდება.

სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო მოხმარება მარტო იმით კი არ განსხვავდება მშრომელთა მოხმარებისაგან კაპიტალიზმის დროს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მოხმარებული პროდუქტების რაოდენობა უფრო დიდია, არამედ სულ სხვა თვისებითა და სტრუქტურით. კაპიტალიზმის დროინდელი მოხმარების შესახებ მარქსი წერდა: „...სიღატაკეზე დამყარებულ საზოგადოებაში ყველაზე ღატაკურ პროდუქტებს ის საბედისწერო უპირატესობა აქვთ, რომ ემსახურონ მოსახლეობის ფართო მასების მოხმარებას“. მაგალითად, რევოლუციამდელ რუსეთში იმ საქონლის გრძელ ნუსხაში, რომელიც მეფის მთავრობის სპეციალური ბრძანებულებით ფუფუნების საგნებად იყო მიჩნეული, შედიოდა ისეთი პროდუქტები, როგორიც არის კანფეტი, მურაბა, ხმელი ხილი, ფაიფურისა და ფაიანსის ნაწარმი, აბრეშუმის, აბრეშუმნარევი და შალის ქსოვილები და ბევრი სხვა საქონელი. სოციალისტური წყობილების პირობებში მთელი ეს პროდუქტები უკვე დიდი ხანია ფართო მოხმარების საგნები გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქონელბრუნვის სტრუქტურა როგორც ქალაქად, ისე სოფლად ძირეულად შეიცვალა. თუ წინათ სოფლად ვაჭრობა უმთავრესად მარილით, იაფფასიანი ჩითით, ასანთით, ნავთითა და მცირე ნომენკლატურის ლითონის ნაკეთობებით განისაზღვრებოდა, ახლა სოფლად დიდი რაოდენობით იყიდება შალის ქსოვილები და მოდელური ფეხსაცმელი, მოტოციკლები და რადიომიმღებები, პიანინოები და ელექტროსაქონელი, ფოტოაპარატები, საათები და ბევრი სხვა საქონელი.

ამჟამად მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ფასების განუწყვეტელ შემცირებასთან და საქონლის რაოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით ხდება საქონელბრუნვის სტრუქტურის შემდგომი შეცვლა. მაგალითად, პურის, კარტოფილის, ბურღულისა და სხვ. ფასების შემცირება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამდენადვე იზრდება მოთხოვნილება ამ საქონელზე. ფასების შემცირებით დაზოგილი ფულის მნიშვნელოვან ნაწილს საბჭოთა ადამიანები ხარჯავენ უფრო მაღალხარისხოვანი პროდუქტებისა და სამრეწველო ნაწარმის შესაძენად, აყენებენ გაძლიერებულ მოთხოვნილებას ხანგრძლივად სახმარ საგნებზე (ავეჯი, ველოსიპედები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა. შ.). ვაჭრობის დაგეგმვა, რასაც სახელმწიფო საგეგმო ორგანოები ახორციელებენ, შეიძლება ეფექტიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მომხმარებელთა განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებებსა და გემოვნებას, ეროვნულ და ადგილობრივ თავისებურებებს, სეზონურობას, ჰავის პირობებს და სხვა გარემოებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნილებას.

საბჭოთა ვაჭრობის კულტურის ამაღლება ნიშნავს უწინარეს ყოვლისა მაღაზიათა და საწყობთა ქსელის გაფართოებას და მათი ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერებას, სპეციალიზებულ მაღაზიათა ქსელის ყოველმხრივ გაფართოებას, ვაჭრობის მუშაკთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. საბჭოთა მოქალაქეების უკეთესი მომსახურებისათვის სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან მაღაზიებში ფართო ასორტიმენტით ჰქონდეთ მასობრივი მოხმარების საქონელი, დროულად შემოჰქონდეთ სეზონური მოთხოვნილების საქონელი.

სავაჭრო ორგანიზაციები სოფლად, გარდა მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, მოწოდებული არიან აგრეთვე უზრუნველყონ კოლმეურნეობანი საწარმოო დანიშნულების საქონლით, როგორიც არის: სამშენი მასალები, საზიდრები, სასარაჯო ნაკეთობანი და ა. შ.

უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების შემცირებას. საბჭოთა ვაჭრობა მსოფლიოში ყველაზე ეკონომიური ვაჭრობაა, ვინაიდან მისთვის უცნობია საზოგადოებრივი სიმდიდრის ფლანგვა, რაც დაკავშირებულია კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კაპიტალისტური კანონის მოქმედებასთან. მიმოქცევის ხარჯების დონე საბჭოთა ვაჭრობაში რამდენჯერმე უფრო დაბალია კაპიტალისტურ ვაჭრობასთან შედარებით, მაგრამ კიდევ არის ამ ხარჯების შემდგომი შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვები. ჯერ კიდევ დიდია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და გასაღების ხარჯები, არის გადახარჯვა საქონლის არარაციონალური, მეტად შორეული და რკინიგზებით შემხვედრი გადაზიდვის გამო, ზოგჯერ კი სავაჭრო საწარმოებში გაბერილი შტატების გამო. მთელ რიგ სავაჭრო საწარმოებში არარაციონალურად იყენებენ ავტოტრანსპორტს, დაბალია ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, ცუდად არის მექანიზებული შრომატევადი პროცესები (მაგალითად, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვ. დატვირთვა და გადმოტვირთვა). ბევრ შემთხვევაში დაუდევარი შენახვის შედეგად დიდდება საქონლის დანაკარგები, ზოგიერთი სავაჭრო საწარმო მნიშვნელოვან ხარჯებს სწევს ტარის დიდი რაოდენობით გაფუჭების გამო. ყველა ამ და მთელ რიგ სხვა ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად შევამციროთ მიმოქცევის ხარჯები, გავადიდოთ საბჭოთა ვაჭრობის რენტაბელობა.

მიმოქცევის ხარჯების შემცირება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მაშინ როცა საცალო საქონელბრუნვის მოცულობა სსრ კავშირში რამდენიმე ასეული მილიარდი მანეთია, მიმოქცევის ხარჯების (სავაჭრო ხარჯების) ყოველი პროცენტი საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს. მეხუთე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია საცალო ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების 23 პროცენტით შემცირება. ეს რამდენიმე მილიარდ მანეთ ეკონომიას მოგვცემს.

* * *

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები დიდ და მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო საქმეს აკეთებენ. სავაჭრო საწარმოთა მუშაობის ხარისხი თვითეული საბჭოთა მოქალაქის ცხოვრებას ეხება.

კულტურული საბჭოთა ვაჭრობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ვაჭრობა, რომელიც შეისწავლის და რაც შეიძლება უფრო სრულად აკმაყოფილებს მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებას, მთელი სოციალისტური წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებისა და სახალხო მოხმარების გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. კარგად მოწყობილი საბჭოთა ვაჭრობა აუცილებელი ბერკეტია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

მ. მაკაროვა.

„პრავდა“, 29-V.



სტალინოს ოლქი. კრამატორსკის მძიმე ჩარხმშენებლობის ქარხანაში 100-მდე სტახანოველმა შეასრულა თავისი ხუთი წლის ნორმა. 300 კაცმა ოთხი და სამნახევარი წლიური დავალება შეასრულა. საინსტრუმენტო საამქროს სტახანოველი მხეხავი კომუნისტი გ. ს. პავლენკო მძიმე წონის ხახარატო ჩარხების დეტალების დასამუშავებელი ინსტრუმენტის ხეხვის დავალებას ყოველდღე 300-350 პროცენტით ასრულებს. ხუთწლედის დასაწყისიდან მან 9,5 წლიური ნორმა შეასრულა.

სურათზე: მხეხავი გ. ს. პავლენკო.

ფოტო ი. ბონდარენკოსი.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

## კუზბასის და დონეცის მაღაროელთა შეჯიბრება

კემეროვო, 29 მაისი. (საკდესი). დონეცის მეშახტეებთან შეჯიბრებაში კუზბასის მაღაროელები ახალ წარმატებებს აღწევენ. შახტების ნახევარზე მეტმა ვადამდე შეასრულა ხუთი თვის პროგრამა. ახლა ოთხი ტრესტი — „ბელოვუგოლი“, „მოლოტოვუგოლი“, „ლენინუგოლი“ და „კემეროვუგოლი“ — ივნისის ანგარიშში უშვებს სათბობს.

შეჯიბრების ავანგარდშია შახტი „შავი მთა“. ამ შახტის კოლექტივმა ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე შეასრულა გადიდებული ვალდებულება და გადაწყვიტა მეშახტის დღისათვის ამოიღოს კიდევ 10 ეშელონი ქვანახშირი გეგმის გადამეტებით. მაღალი მაჩვენებლები აქვს ტრესტ „ლენინუგოლის“ კიროვის სახელობის შახტის კოლექტივს, რომელიც ეჯიბრება დონეცის № 1 შახტს „ცენტრალნაიას“. მან ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა ხუთი თვის გეგმა. მაისის 28 დღეში კიროველებმა მომხმარებლებს გაუგზავნეს ცხრა ეშელონი ზეგეგმითი სათბობი.

## მაღაროელები უნარიანად იყენებენ ტექნიკას

მარგანეცი (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 28 მაისი. (საკდესი). დღეს მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მუშებმა ვადამდე შეასრულეს ხუთი თვის პროგრამა მთელი სამთამადნო ციკლის მიხედვით.

№ 27 შახტის კოლექტივი, რომელმაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა საწარმოს დაპროექტებულ სიმძლავრეს, უკვე ათი დღეა იღებს მადანს ივნისის ანგარიშში. აქ ყველა მნგრეველი, გვირაბგამყვანი და ქანსატვირთავი მანქანისა და ტრანსპორტერის მემანქანე დაეუფლა მარგანეცის დამუშავების მოწინავე სისტემებს და კარგად იყენებს სამთო ტექნიკას. მნგრეველი გრიგოლ მაქსიმენკო ანგრევს მადანს ეგრეთწოდებული შვერილი ფრონტით და სამი დღის განმავლობაში 15-მეტრიან სანგრევში იმდენ მარგანეცს იღებს, რამდენიც ერთი კვირისათვის არის გათვალისწინებული. უკანასკნელ ცვლაში სტახანოველმა მოანგრია 90 ტონა მადანი — დავალებაზე ერთიორად მეტი.

წარმატებით მუშაობენ № 26 და № 27 შახტების მაღაროელები. ისინი ყოველდღე იღებენ იმდენ მადანს, რამდენიც დაგეგმილია მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის.

## 600 ათასი ფუთი თევზი გეგმის გადამეტებით

უსტ-კამჩატსკი (კამჩატკის ოლქი), 28 მაისი. (საკდესი). აღმოსავლეთ კამჩატკის „გოსრიბტრესტის“ თევზის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა შეასრულეს ქაშაყის ჭერის წლიური გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს თევზჭერის სეზონის ბოლომდე დამატებით დაიჭირონ ნახევარი მილიონი ფუთი თევზი.

მეთევზეებმა სიტყვა საქმედ აქციეს. 27 მაისისათვის გეგმის გადამეტებით დაჭერილია 600 ათასი ფუთი ქაშაყი. განსაკუთრებით კარგად იმუშავა ანაპკინის კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მისცა ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი თევზი. ორ-ორი წლიური დავალება შეასრულეს კარაგინსკისა და კიჩიგინსკის კომბინატების კოლექტივებმა.

## ვ. ვ. მაიაკოვსკის ხსოვნისათვის

ყზილ-ორდა, 29 მაისი. (საკდესი). ოლქის მშრომელები ემზადებიან, რათა ფართოდ აღნიშნონ საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვ. ვ. მაიაკოვსკის დაბადების სამოცი წლისთავი. ყზილ-ორდის მაშუკ მამედოვას სახელობის ქალთა ყაზახურ პედაგოგიურ სასწავლებელში გაიმართა მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ახალგაზრდა პოეტმა ბაიაზიტოვმა წაიკითხა მოხსენება „ვ. ვ. მაიაკოვსკი და ყაზახური პოეზია“. საღამოზე გამოვიდნენ აკინები ბექტასოვი და ქიენბაევი.

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებში იკითხება ლექციები ვ. ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ოლქის ბიბლიოთეკებში, კლუბებში, სამკითხველოებში გაიხსნა პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

## სამშობიარო სახლები მოლდაეთის კოლმეურნეობებში

კიშინიოვი, 29 მაისი. (საკდესი). უნგენის რაიონის 1 მაისის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში გაიხსნა საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი. ეს წლის დამდეგიდან შექმნილი მესამე სამშობიარო სახლია. სამშობიარო განყოფილებები მოეწყო 200 რაიონულ და უბნის საავადმყოფოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის მიმოხილვა

# საბჭოთა მშენებლობის საკითხები რაიონულ გაზეთში

## «ლენინის დროშა»—მახარაძე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობით ყოველდღიურად მაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე. სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული ღონისძიებანი — სამინისტროების გამსხვილება, აპარატის ზედმეტი რგოლების ლიკვიდაცია და სხვ. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრის საუკეთესო პირობებს ქმნის. ამ ღონისძიებათა შედეგად სახელმწიფო აპარატი უფრო მოქნილად, ოპერატიულად უნდა მუშაობდეს. იგი უფრო უნდა დაუახლოვდეს ხალხის მასებს.

ამიტომ, სავსებით გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მშენებლობის, საბჭოთა აპარატის მუშაობის საკითხების ოპერატიულად გაშუქებას ჩვენს პრესაში. ბევრი რაიონული გაზეთი ახლა უკეთესად აშუქებს ამ საკითხებს. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ყველა გაზეთზე. მაგალითად, მახარაძის რაიონული გაზეთი „ლ ე ნ ი ნ ი ს დ რ ო შ ა“ კვირაში სამჯერ ოთხ გვერდზე გამოდის. მას დიდი შესაძლებლობა აქვს სისტემატურად გააშუქოს საბჭოთა მშენებლობის საკითხები, მაგრამ გაზეთი ამ შესაძლებლობას არ იყენებს.

ამას ნათლად მოწმობს 1 მარტიდან 15 მაისამდე გამოსული გაზეთის ნომრები. ამ ხნის მანძილზე გაზეთში საბჭოთა მშენებლობის საკითხზე ერთი მოწინავე წერილიც კი არ არის დაბეჭდილი. მარტში გაზეთი დაკმაყოფილდა რაისაბჭოს აღმასკომში განხილული საკითხის ანგარიშის გადმოცემით (27 მარტი), სამომხმარებლო კოოპერაციის სარევიზიო კომისიების მუშაკთა რაიონული თათბირის ანგარიშით (20 მარტი) და საბჭოთა მშენებლობის რუბრიკის ერთადერთი წერილით — „სასოფლო საბჭო და მისი აქტივი“. სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ წერილში მოთხრობილი უნდა ყოფილიყო სასოფლო საბჭოს მუშაობის გამოცდილება, საბჭოს აქტივის კონკრეტული საქმეები, რაც სხვა საბჭოებსაც დაეხმარებოდა მუშაობის უკეთ მოწყობაში. მაგრამ წერილში მოყვანილია მშრალი ციფრობრივი მონაცემები და დასახელებულია საბჭოს აქტივისტების მხოლოდ გვარები

გაზეთს არც შემდეგ გამოუსწორებია ეს სერიოზული ხარვეზი. აპრილში გაზეთი დაკმაყოფილდა ინფორმაციული ხასიათის ზოგიერთი მასალის დაბეჭდვით. მაგალითად, ასეთია კორესპონდენციები: „ბათუმის ქუჩაზე წესრიგი უნდა დამყარდეს“ (3 აპრილი), „მოწინავე საფეიქრო პუნქტი“, „გზის უვარგისობის გამო“ (5 აპრილი), „რაისაბჭოს მეორე სესია“ (10 აპრილი), „აბანოს რეკონსტრუქცია“, „შევაკეთოთ გზა“ (12 აპრილი) და სხვ.

მიმოხილვის ნომრებში ვერ შეხვდებით ანალიზიან, საქმიან წერილებს სასოფლო საბჭოების, მათი მუდმივი კომისიების, დეპუტატების, საბჭოთა აპარატის მუშაობაზე, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და სხვა საკითხებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ექიმის საუბრებს ცოფზე და სხვა მსგავს თემებზე, ან 17 აპრილის ნომერში დაბეჭდილ წერილს „ქალაქი მახარაძე“, რომლის ავტორია საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. სალუქვაძე. ამ წერილში ნათქვამია, თუ რა უნდა გაკეთდეს ქალაქში, რა გაკეთდა და ჩამოთვლილია ამ საქმიანობაში მონაწილეთა გვარები, ხოლო მათ კონკრეტულ მუშაობაზე, გამოცდილებაზე, სამაგალითო საქმეზე არაფერია ნათქვამი.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. 15 აპრილის ნომერში დაიბეჭდა მასალა — პრესის მიმოხილვის მაგიერ — „მუშაობა უნდა გარდაიქმნას“. წერილში გაკრიტიკებულია ძიმითის სასოფლო საბჭოს, პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კომუნიზმისაკენ“. ამ მიმოხილვაში ვკითხულობთ:

> „მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი სასოფლო საბჭოს ორგანოცაა, არც ერთი წერილი არ არის მოთავსებული სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ. ცხადია, ასეთი გაზეთი სასოფლო საბჭოს, პარტიულ ორგანიზაციასა და კოლმეურნეობას ვერ გაუწევს საქმიან დახმარებას მუშაობის უკეთ დაყენებისათვის“.

როგორც ჩანს „ლენინის დროშა“ სხვებს ასწავლის, ხოლო თვითონ სერიოზული ნაკლი აქვს.

გაზეთ „ლენინის დროშა“-ში 22 აპრილს დაიბეჭდა წერილი — ფელეტონის მაგიერ — „ისევ ლესელიძის ქუჩის ქეჩოზე“.

ლექსად დაწერილი ამ ფელეტონის უსუსურობა სათაურიდანაც ჩანს, ხოლო თუ როგორია თვით ტექსტი, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს:

> „მანქანა რომ „რაზგონს“ იღებს
> და დაჭიმავს ტანჯვით ძარღვებს,
> ზედ აღმართზე ისვრის ტლინკებს
> და მოგორავს ნჯღრევით თავქვე“...

„ლენინის დროშის“ რედაქციას მოეთხოვება მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საბჭოთა მშენებლობის საკითხების გაშუქებას, საქმიანად დაეხმაროს საბჭოთა ორგანოებს მუშაობის გარდაქმნაში. ამის შესაძლებლობა მას აქვს და იგი სრულყოფილად უნდა გამოიყენოს. რედაქციის მუშაკები ვალდებული არიან მეტი პატივი სცენ მკითხველებს, აღკვეთონ გაზეთის ფურცლებზე ხალტურულ ნაწარმოებთა ბეჭდვა, მეტი ყურადღება მიაქციონ მასალების ლიტერატურულ დამუშავებას.

## 80 წელი დიმიტრი არაყიშვილის დაბადებიდან



დიმიტრი არაყიშვილი

## ჩემი მადლობა

არაფერია იმაზე სასახელო და სასიხარულო, რომ ცხოვრობდე და შემოქმედებით შრომას ეწეოდე საბჭოთა ეპოქაში, როდესაც სიტყვა — ადამიანი, მშრომელი ამაყად ჟღერს, როდესაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობ პარტიისა და მთავრობის უდიდეს მზრუნველობას. მე დიდად აღმაფრთოვანებს და ძალებს მმატებს შეგრძნობა იმისა, რომ ვემსახურები კომუნიზმის მშენებელ გმირ ხალხს.

მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, სადაც შრომა დიდებისა და ღირსების საქმეა, შეიძლება ჭეშმარიტად დაფასდეს შემოქმედი ადამიანი. და ეს დაფასება, ღვაწლის აღნიშვნა სტიმულია ადამიანის შემდგომი მუშაობისათვის. თუმცა ჩემი ცხოვრება რვა ათეულ წელს მოიცავს, მაგრამ შრომის ფრონტზე ფარ-ხმლის დაყრას ჯერ არ ვაპირებ. ამჟამად ვმუშაობ აჭარული სიმღერების გამოკვლევაზე. გასული წლის დამლევს აჭარაში მოწყობილმა ექსპედიციამ დიდი მასალა მომცა ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. საქართველოს ყოველ კუთხეში უხვად არის გაბნეული მუსიკალური მარგალიტები, და მათი შეკრება, შემოქმედებით ქურაში გატარება ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის ვალია. ვუსურვებ ახალგაზრდა მუსიკოსებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ ჩვენი ხალხის მდიდარი კულტურის საუნჯეს, მის ყოფას, და მიაწოდონ კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი მუსიკალური ნაწარმოებნი.

უღრმესი მადლობა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მთელ საზოგადოებრიობას ჩემი შრომის დაფასებისათვის.

**დ. არაყიშვილი,**
კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

## დ. არაყიშვილის საიუბილეო საღამო

ორშაბათს, პირველ ივნისს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგება ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, სტალინური პრემიის ლაურეატის დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ამხ. შ. ბუაჩიძე. მოხსენებას დ. არაყიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს ამხ. გ. კოკელაძე. საკონცერტო განყოფილებაში ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ძალები შეასრულებენ დ. არაყიშვილის ნაწარმოებებს.

საზღვარგარეთის ზნე-ჩვეულება

# პატარა კეტის ბედი

ჩვენს წინაშეა ამერიკულ ჟურნალ „ტაიმსის“ მიმდინარე წლის 18 მაისის ნომერი. მის მე-17 გვერდზე ფოტოსურათია: წყალსატევის ნაპირზე დგანან ნახევრადტიტველი, დატანჯული ბიჭუნა და გოგონა. სხეული დამახინჯებული აქვთ არანორმალური განვითარებით: თავები ვიწრო და წაგრძელებული აქვთ, ბეჭები კი უზომოდ განიერი, ნეკნები მკვეთრად მოუჩანთ... მთელი გარეგნობით მოხუცებს მოგვაგონებენ. ორივე ერთად 11,5 წლისაა. ესენი არიან ჯ. რასელი, მეტსახელად ბუბა, და მისი უმცროსი და კეტი. იქვე დგას მათი მამა ტონგეი რასელი.

ვინ არიან ესენი? რატომ მიაქცია მათ ყურადღება ამერიკულმა ჟურნალმა?

ამ ფოტოსურათს იქით იფარება ერთ-ერთი ტრაგედია იმ მრავალი ტრაგედიიდან, რომლებიც განუყრელი ნაწილია ყბადაღებული „ამერიკული ცხოვრებისა“, სადაც გამდიდრების წადილს დაუჩრდილავს ყველაფერი, ადამიანებში ჩაუკლავს უწმინდესი გრძნობები.

ბევრი ფულის შოვნის წადილით გატაცებულმა ტ. რასელმა თავისი მცირეწლოვანი ბავშვები გამდიდრების წყაროდ გადააქცია. სენსაციებს დახარბებულ, ბურჟუაზიული პრესით, რადიოთი და კინემატოგრაფიით გარყვნილ ამერიკელ ობივატელებს არაჩვეულებრივი სანახაობანი უყვართ. და აი, როცა რასელი მამა გახდა, მას საშინელი იდეა დაებადა: რა მოხდება, რომ ძუძუთა ბავშვი... მცურავი გახადო? რა სენსაცია იქნება!..

რასელმა თავისი აზრი კიდევაც შეასრულა. თავის პირველ ვაჟს — ძუძუთა ბავშვს დაუწყო წვრთნა, რომ ცურვა ესწავლებინა. დიდხანს ასხამდა ხოლმე სახეზე წყალს, რომ მას „წყალში სუნთქვა“ ესწავლა, წყლით სავსე აბაზანაში აგდებდა. თვრამეტი თვის ბიჭუნა სისხლის ჩაქცევისაგან გარდაიცვალა. დედამ განაცხადა, მამა ბავშვს სცემდაო.

მაგრამ შვილის სიკვდილს მამის სინდისის ქენჯნა როდი გამოუწვევია. როცა დაიბადა ბუბა, ხოლო წელიწადნახევრის შემდეგ კეტი, მამამ გადაწყვიტა გაემეორებინა ცდა.

ულმობელი წვრთნით მან ძუძუთა ბავშვებს ცურვა ასწავლა ბევრად უფრო ადრე, სანამ ფეხს აიდგამდნენ. იგი ანგარიშს არ უწევდა ბავშვების ჯანმრთელობასა და ნორმალურ განვითარებას და მიაღწია იმას, რომ ათი თვისა როცა იყვნენ, მათ უკვე შეეძლოთ წყალქვეშ გაეცურათ 20 ფუტი (დაახლოებით 6 მეტრი) მანძილი, როცა ორი წლისაც არ იყვნენ, ტონგეი ყოველდღე აიძულებდა მათ გაეცურათ ხუთი მილი (დაახლოებით 8 კილომეტრი).

დადგა წვრთნის შემდგომი ეტაპი. მამა ბავშვებს კოშკურიდან აგდებდა წყალში. პაწია ბუბა ხელფეხშეკრული უნდა გადამხტარიყო 33 ფუტის (10 მეტრის) სიმაღლიდან და ორჯერ გაეცურა აუზი წყალქვეშ. პატარა კეტის „ვარჯიშის“ პროგრამა ასეთი იყო: მას ყოველდღე უნდა გაეცურა შვიდი მილი და ოცფუტიანი კოშკურიდან წყალში გადამხტარიყო ხოლმე თვალებახვეული. ბავშვები დამქანცავ ვარჯიშს ასრულებდნენ ხმელეთზე, შემდეგ კი მათი წამება გრძელდებოდა წყალში. ხოლო ამ საცოდავებს რომ „ცურვა გაადვილებოდათ“, მამა მათ აშიმშილებდა.

ყოველივე ამას ერთვოდა უმაგალითო უხეშობა და სისტემატური ცემა. ბავშვებს სხეული მუდამ დალურჯებული, სისხლნაჟღენთებითა და განაკაწრებით ჰქონდათ დაფარული. განსაკუთრებით ცუდ დღეში იყო პატარა კეტი, რომელიც ხშირად ვერ იკავებდა ბავშვურ ცრემლებს უცხოებთან. ამის გამო იგი განსაკუთრებით სასტიკად ისჯებოდა.

ბოლოს, არაადამიანური წვრთნის შედეგად ბავშვებს შეეძლოთ ოც მილზე მეტი გაეცურათ. მაშინ ტონგეიმ გადაწყვიტა, რომ დადგა „ბიზნესის კეთების“ დრო. ულმობელი მენტორიდან იგი ხარბ ანტრეპრენიორად გადაიქცა. იგი იწყებს... „ამფიბია“ ბავშვების საჩვენებელ გამოსვლებს.

სარეკლამო ფორმულას გასავალი ჰქონდა. გაზეთები გამოეხმაურნენ რეკლამას და ბუბა და კეტი გახადეს იმ სახელგანთქმულ პირებად ერთი საათით, რომლებიც ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა მალე გაქრნენ და ადგილი ახლებს დაუთმონ. ტონგეი და მისი შვილები დიდი სიხარულით მიიღეს ჰოლივუდში. ბავშვებს კინოსათვის იღებდნენ — პაწია ბუბა და კეტი ეკრანზე განთქმულ მცურავ ესთერ ვილიამსის გვერდით გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

შემოსავლის ზრდასთან ერთად ტონგეის მადაც ემატებოდა. გამდიდრების წყურვილით გატაცებულმა, მან წამოიწყო ტურნე საზღვარგარეთ. 1951 წლის ზაფხულში ბავშვები ინგლისში წაიყვანა; სენსაციის მოხდენის მიზნით მან გამოაცხადა, რომ მისი მცირეწლოვანი შვილები გადასცურავენ ლა-მანშის სრუტეს, რომელიც ინგლისს საფრანგეთისაგან ჰყოფს. მაგრამ იმედი გაუცრუვდა, აქ მისი მერკანტილური ანგარიში არ გამართლდა. მაშინ იგი საფრანგეთში გაემგზავრა იმავე განზრახვით: ბლომად შეეგროვებინა ფული და მოეწყო „წარმოდგენა“ სრუტის ფრანგული ნაპირიდან. მაგრამ მისი განზრახვა აქაც მარცხით დამთავრდა.

გაცოფებული ტონგეი „ფულის გასაკეთებლად“ შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. იგი გაორკეცებული სისასტიკით შეუდგა ბავშვების წვრთნას. ერთხელ მან ხუთი წლის კეტი აიძულა გადამხტარიყო წყალში თერთმეტი მეტრის სიმაღლიდან და თან ჰაერში რთული ვარჯიში გაეკეთებინა. მაგრამ ბავშვს ვარჯიში არ გამოუვიდა და იგი მუცლით დაეცა წყალზე. კეტის მთელ სხეულში დაეწყო ძლიერი ტკივილები, იგი ტიროდა და უჩიოდა იმას, რომ ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. მალე პირისღებინება დაეწყო. მაგრამ მამამ აიძულა წყალში ჩასულიყო და ვარჯიში განეგრძო. საღამოს კეტის მდგომარეობა გაუარესდა და მალე იგი, ისევე როგორც მისი პირველი ძმა, გარდაიცვალა იმით, რომ ბევრგან ჰქონდა სისხლი ჩაქცეული.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ამის გაკეთება შეეძლო არათუ მამას, არამედ უბრალოდ ადამიანს. თუმცა განა შეიძლება მას ადამიანი ეწოდოს? გამდიდრების წყურვილმა მას დაუკარგა ყოველივე ადამიანური, ეს ადამიანის მსგავსი არსება გადააქცია მტაცებლად, რომელიც ფულის გულისათვის, გამდიდრების გულისათვის მზად არის ყველაფერი გააკეთოს.

**ვ. გრიგოროვიჩი.**

## უსიხარულო ბავშვობა

ბანგკოკი, 30 მაისი. (საკდესი). თუმცა ტაილანდში არსებობს კანონი, რომლითაც აკრძალულია 14 წლისაზე ნაკლები ასაკის ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია, მაგრამ ეს კანონი მხოლოდ ქაღალდზეა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტის განცხადებით, 7 წლის ასაკის ბავშვები მუშაობენ ბანგკოკის ფაბრიკების ბნელ და ჭუჭყიან საამქროებში, სადაც ვენტილაცია არ არის. რესტორანების, მაღაზიების პატრონები და სხვა მეწარმეები მეტი ხალისით იყენებენ ბავშვთა შრომას, რომელიც მოზრდილი ადამიანის შრომაზე ერთისამად იაფია.

ტაილანდში ხშირია შემთხვევა, რომ გლეხები, რომლებიც მევახშეთა და მემამულეთა კაბალაში იმყოფებიან, ყიდიან შვილებს. ამ პატარა მონებს საშინელ ექსპლოატაციას უწევენ.

ტაილანდში დიდია სიკვდილიანობა და განსაკუთრებით ბავშვთა შორის. როგორც პრესა იუწყება, 14 წლამდე ასაკის ბავშვების 70 პროცენტი დაავადებულია ტუბერკულოზით. „ტაილანდში, — წერს გაზეთი „ბანგკოკ პოსტი“, — ტუბერკულოზით ყოველწლიურად იღუპება 10.000 კაცი (მეტწილად ბავშვები). ტუბერკულოზი ჯანს აცლის ასეულ ათასობით ადამიანს“.

# გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი

**დ. ე. არაყიშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო**

80 წელი შესრულდა გამოჩენილი კომპოზიტორის და მუსიკალური მოღვაწის დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილის დაბადებიდან. დ. არაყიშვილი ქართული ეროვნული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც კომპოზიტორი-კლასიკოსი, ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

დიმიტრი არაყიშვილი დაიბადა 1873 წლის 24 თებერვალს ჩრდილოეთ კავკასიაში — კავკავში, ახლანდელ ძაუჯიყაუში, ღარიბი ქართველი ხელოსნის ოჯახში.

მომავალი კომპოზიტორის მშობლები, მიუხედავად თავიანთი ხელმოკლეობისა, ცდილობდნენ განათლება მიეცათ შვილისათვის.

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა დიმიტრი შევიდა სამკლასიან სასწავლებელში, რომლის დამთავრება ვერ შეძლო. მშობლები უსახსრობის გამო იძულებული გახდნენ შვილი სამუშაოდ დაეყენებინათ მეფართლესთან. ასე დაიწყო დ. არაყიშვილის ცხოვრების ახალი ხანა — ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში სამოვარზე ხეტიალის ხანა. მოგზაურობის დროს იგი ხვდებოდა ბუნებით მდიდარი ამ მხარის სხვადასხვა ერის ხალხს, შეისწავლა მათი ენები, — ოსური, ინგუშური, ჩერქეზული, სომხური.

1888 წელს, როცა დ. არაყიშვილს 15 წელი შეუსრულდა, მის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. არმავირში მან პირველად მოისმინა კონცერტი ქართული ეთნოგრაფიული გუნდისა, რომელსაც ი. რატილი ხელმძღვანელობდა. ქართული ხალხური მელოდიების სილამაზემ, მწყობრმა და საუცხოო შესრულებამ იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკზე, რომ მან გადაწყვიტა მუსიკა შეესწავლა, საკუთარი ნაწარმოებნი შეექმნა.

შემდგომ წლებში დ. არაყიშვილი მისთვის დამახასიათებელი ენერგიით მთელ თავისუფალ დროს მუსიკას ახმარდა. იგი მიდის ეკატერინოდარში, სადაც არაჩვეულებრივი ბეჯითობით მეცადინეობს მუსიკის მოყვარულთა წრეში. 1893 წელს მან უკვე შექმნა თავისი პირველი ნაწარმოები „ცეკვა ფორტეპიანოსათვის“, რომელსაც საწყალიშვილის ფსევდონიმი მოაწერა. პირველი ნაწარმოების წარმატებამ ფრთები შეასხა დამწყებ კომპოზიტორს. ერთი წლის შემდეგ, 1894 წელს, გადალახა რა დიდი სიძნელენი, მიემგზავრება მოსკოვში. რუსული კულტურის ამ უდიდეს ცენტრში დ. არაყიშვილი პირველად იწყებს მეცადინეობას პროფესიონალ მუსიკოსებთან. იგი ახერხებს შესვლას მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების მუსიკალურ-დრამატულ სასწავლებელში. ამ სასწავლებელს უმაღლესი სასწავლებლის უფლებები ჰქონდა. დიმიტრი არაყიშვილი ერთდროულად სწავლობდა ორ ფაკულტეტზე — კომპოზიცია — თეორიის ფაკულტეტზე — პროფესორ ა. ილინსკისთან და სადირიჟოროზე პროფესორ ვილიამ კესთან.

მუსიკალურ-დრამატულ სასწავლებელში დ. არაყიშვილი 7 წელიწადს სწავლობდა. მატერიალურმა გაჭირვებამ, რასაც იგი მუდამ განიცდიდა, ხელი ვერ აალებინა მტკიცე გადაწყვეტილებაზე — მიეღო უმაღლესი მუსიკალური განათლება.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დ. არაყიშვილი 1897 წლიდან რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავს წერილებს ქართული მუსიკალური შემოქმედების შესახებ. ამავე წლებში იგი შედის მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის წევრთა შემადგენლობაში. მომავალი კომპოზიტორი აქ მთელი რიგი წლების მანძილზე საზოგადოების ღია სხდომებზე ეწევა ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების პროპაგანდას, კითხულობს მეცნიერულ მოხსენებებს ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიიდან, ეთნოგრაფიულ კონცერტებში აწყობს ქართული მუსიკისადმი მიძღვნილ სპეციალურ განყოფილებებს, რითაც ფართო პოპულარიზაციას უწევს მას მოსკოვის საზოგადოებრიობაში.

1902 წელს დ. არაყიშვილმა დაამთავრა ფილარმონიული სასწავლებელი და მას შემდეგ მთელ თავის ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს ხალხის სამსახურს.

დ. არაყიშვილი დიდი სიყვარულით შეუდგა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას. მალე მან ქართული ხალხური სიმღერის გამოჩენილი მცოდნისა და შემკრების სახელი მოიხვეჭა. მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის დავალებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მუსიკალური კულტურის ისეთი ცნობილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ კომპოზიტორები ს. ტანეევი, იპოლიტოვ-ივანოვი, პიატნიცკი, დ. არაყიშვილმა 1901, 1902, 1904 და 1908 წლებში ხანგრძლივად იმოგზაურა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ფონოგრაფის საშუალებით ჩაწერა 500-ზე მეტი ხალხური სიმღერა.

ჩაწერილი სიმღერები განმარტებითი კომენტარებით გამოიცა 4 ტომად. ამ უაღრესად ძვირფას შრომას საზოგადოების საერთაშორისო კონგრესების უმაღლესი პრემია — ოქროს მედალი მიენიჭა.

მოსკოვში ყოფნის დროს დ. არაყიშვილმა ფართო პოპულარობა მოიპოვა, როგორც გამოჩენილმა მუსიკალურ-მეცნიერმა მოღვაწემ, პუბლიცისტმა, საზოგადო მოღვაწემ, გულისხმიერმა პედაგოგმა და ნიჭიერმა კომპოზიტორმა.

აქ პირველ რიგში აღსანიშნავია დ. არაყიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა მოსკოვის ხელმოკლე მოსახლეობაში მუსიკალური განათლების გასავრცელებლად. იგი იყო მოსკოვის ეგრეთწოდებული „სახალხო კონსერვატორიის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი მასწავლებელი, არბატის რაიონის ღარიბეს მოსწავლეთათვის მუსიკალური კლასების გახსნის ინიციატორი და, ბოლოს, — „სკოლისგარეშე განათლების ხელშემწყობ საზოგადოებასთან“ მუსიკალური განყოფილების ორგანიზატორი.

დ. არაყიშვილის კომპოზიტორული მოღვაწეობის დასაწყისი უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება. იგი 1910 წელს შეუდგა მუშაობას თავის პირველი დიდი ნაწარმოების — ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შესაქმნელად.

პირველი რედაქციით ოპერა ორაქტიანი იყო. იგი კომპოზიტორმა 1914 წელს დაამთავრა. მისი ცალკეული სიმფონიური ეპიზოდები კონცერტებზე სრულდებოდა ავტორის დირიჟორობით ჯერ კიდევ 1911 წელს მოსკოვში, 1913 წელს — თბილისში და პეტერბურგის ახლოს მდებარე კურორტ პავლოვსკში.

ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ერთ-ერთი პირველი ქართული ეროვნული ოპერაა. პირველად იგი 1919 წელს დაიდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. მთავარ პარტიებში მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი.

შემდეგში დ. არაყიშვილმა ოპერა 4 აქტამდე გააფართოვა და „შოთა რუსთაველი“ უწოდა. ეს ნაწარმოები ავტორის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქმნილებაა. ოპერა „შოთა რუსთაველში“ მოჩანს კომპოზიტორის დიდი ნიჭის დამახასიათებელი ნიშნები — მუსიკალური აზრის სილამაზე და მაღალი პროფესიული ოსტატობა.

1918 წელს დ. არაყიშვილი მოსკოვიდან თბილისში გადმოვიდა და მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით იწყო მოღვაწეობა როგორც კომპოზიტორმა, დირიჟორმა, პედაგოგმა, მეცნიერმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ უმაგალითო პერსპექტივები შეუქმნა კომპოზიტორს შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. თავისი ხალხის ერთგული შვილი დ. არაყიშვილი მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და ოსტატობას განთავისუფლებულ მშობლიურ რესპუბლიკაში ახალი ცხოვრების მშენებლობას ახმარდა.

დ. არაყიშვილის ინიციატივით 1921 წელს თბილისში გაიხსნა მეორე სახელმწიფო კონსერვატორია, სადაც იგი დირექტორად დაინიშნა. ამ კონსერვატორიის ლიკვიდაციის შემდეგ 1923 წელს იგი გადავიდა პროფესორად სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც კითხულობდა ლექციებს მუსიკის ისტორიაში, ჰარმონიაში, მუსიკალურ ფოლკლორში და სხვ.

მხცოვანი კომპოზიტორი ახლაც განაგრძობს მუშაობას კონსერვატორიაში. მრავალი წლის მანძილზე მან აღზარდა რამდენიმე თაობა ნიჭიერი კომპოზიტორებისა, მეცნიერი მუშაკებისა და შემსრულებელი მუსიკოსებისა.

დ. არაყიშვილის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია მაღალი პატრიოტიზმით, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით. მის მუსიკალურ შემოქმედებაში, ისევე როგორც მის მეცნიერულ აზრებში, მუდამ ჰარმონიულად არის შეხამებული გონება და გრძნობა, სიმართლე და სილამაზე.

საბჭოთა მუსიკის მოღვაწეთა თათბირზე ამხ. ჟდანოვი ამბობდა: თუ მუსიკა ულაზათო, ულამაზო, ვულგარული ხდება, იგი ველარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც იგი არსებობს, იგი აღარ არის მუსიკა... დ. არაყიშვილი მუდამ წინააღმდეგი იყო ყოველივე აფექტაციისა, ყოველივე ხელოვნურისა, ყალბისა, გარეგნულისა, რაც არღვევს მუსიკალური შემოქმედების წარმტაც ჰარმონიას.

დ. არაყიშვილის კალამს სულ სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნაწარმოები ეკუთვნის. 1932 წელს მან შექმნა „სიმფონია №1“ ხუთ ნაწილად, რომელიც ქართულ მუსიკაში ამ ჟანრის პირველი ნაწარმოები იყო. შემდეგ მან დაწერა კიდევ ორი სიმფონია — მეორე (4 ნაწილად) ორკესტრისა და გუნდისათვის 1942 წელს და მესამე სიმფონია — „სამშობლო და გამარჯვება“ 1947 წელს. ამ სიმფონიის ტექსტი აღებულია პოეტ-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის მისალმებიდან ი. ბ. სტალინისადმი. ხელახლა რედაქტირებული სახით სიმფონია „სამშობლო და გამარჯვება“ დიდი წარმატებით იქნა შესრულებული საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის პლენუმზე გასული წლის ნოემბერში.

სიმფონიური მუსიკის დარგში დ. არაყიშვილმა შექმნა აგრეთვე ორი სიმფონიური პოემა — „ჰიმნი ორმუზდს“ და „ახალი აღმოსავლეთის ჰიმნი“, სიუტა სამ ნაწილად „შოთა რუსთაველი“, კანტატა გუნდისა და ორკესტრისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის აღსანიშნავად და დიდი რუსი პოეტის პუშკინისადმი მიძღვნილი კანტატა.

ოპერა „შოთა რუსთაველის“ გარდა მან დაწერა კომიკური ოპერა — ზღაპარი „სიცოცხლე სიხარულია“ („დინარა“) და რუსთაველის პოემის მიხედვით მოფიქრებული ოპერა „ნესტანის“ ერთი აქტი.

დ. არაყიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვოკალურ ნაწარმოებებს. მას დაწერილი აქვს მრავალი რომანსი, რომლებიც თავიანთი პოეტურობითა და მელოდიების სილამაზით ნამდვილი შედევრებია ქართულ ვოკალურ ხელოვნებაში. დ. არაყიშვილის ბევრი რომანსი თარგმნილია მოძმე საბჭოთა ხალხების ენებზე და მათ ხშირად ასრულებენ საუკეთესო საბჭოთა მომღერლები.

დ. არაყიშვილის სამეცნიერო-კვლევითს შრომებს, რომლებზეც იგი დღესაც დაუღალავად მუშაობს, უდიდესი ისტორიული და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

ქართული ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დ. არაყიშვილი დააჯილდოვეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდებით, შრომის წითელი დროშის სამი ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, იგი არის სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილის სახით ქართველი ხალხი პატივს სცემს თავის შესანიშნავ უხუცეს კომპოზიტორს, რომელმაც შექმნა უაღრესად რეალისტური, მაღალმხატვრული ნაწარმოებნი.

**კომპოზიტორი გრ. კოკელაძე,**
საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## გერმანელი ბავშვების ორი გზა

ბერლინი, 29 მაისი. (საკდესი). [illegible]

## კორეის ამბები

ფხენიანი, 29 მაისი. (საკდესი). [illegible] დრო თანამოქმედებით ცენტრალური ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

[illegible] ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი.

## ტრაგიკული ბავშვობა



უსიხარულო და ტრაგიკულია მილიონობით ბავშვის ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში. იმ სამყაროში, სადაც მხოლოდ ოქროთი იზომება ადამიანის ბედნიერება, მშრომელთა ბავშვები უდიდეს გაჭირვებასა და უბედურებას განიცდიან. მრავალი ბავშვი იძულებულია ადრევე შეუდგეს ოჯახისათვის საარსებო საშუალებათა მოპოვებას. მათ ქირაობენ სხვადასხვა სამუშაოზე და მხეცურ ექსპლოატაციას უწევენ. კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ამ პატარა „მუშებს“: ერთნი გაზეთებს ან სიგარეტებს ყიდიან, მეორენი ფეხსაცმლის მწმენდავებად მუშაობენ, სხვები ხანაგვე ყუთებს ქექავენ იმ იმედით, რომ იქნებ საჭმელის რაიმე ნარჩენს წააწყდნენ. მრავალი ბავშვი მათხოვრობს ან ქურდობს. მთელ რიგ ქვეყნებში ბავშვებს ყიდიან როგორც ნივთებს. ბავშვი მყიდველის მონა ხდება სამუდამოდ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვებით ვაჭრობის მთელი კონცერნებია დაარსებული.

ცხოვრების ასეთი პირობები ბავშვებს შორის ქრონიკულ დაავადებებს და დიდ სიკვდილიანობას იწვევს. იტალიაში მარტო კამპანიის ოლქში ბავშვთა 25 პროცენტი შიმშილით არის არაქათგამოლეული, 38 პროცენტი სისხლნაკლულია, ხოლო 35 პროცენტი რაქიტიანი. მარსიკას ოლქში მოჯამაგირეთა ბევრი ბავშვი დადამბლავებულია.

კაპიტალისტების გაშმაგებული მზადება ახალი ომის გასაჩაღებლად კიდევ უფრო უსიხარულოს და უბედურსა ხდის ბავშვთა ცხოვრებას, ომის ყველაზე დიდ მსხვერპლს სწორედ ბავშვები წარმოადგენენ.

ზემო სურათზე ხედავთ კორეელი ბიჭუნას პორტრეტს. იგი კორეაში ამერიკელი აგრესორების მიერ გაჩაღებული ომის მსხვერპლია. ამერიკელმა ბარბაროსებმა, რომლებმაც დაბომბეს მისი ქალაქი, ეს ბავშვი ნაპალმის ალით დაასახიჩრეს. ამერიკელმა მკვლელებმა კორეაში 300 ათასზე მეტ ბავშვს მოუსწრაფეს სიცოცხლე. კიდევ უფრო მეტი სამუდამოდ დამახინჯდა.

ქვემოთ სურათებზე: 1. პატარა ფილიპინელი, მანილის ციხეში გამომწყვდეული ბიჭუნა დე ლოს რეიესი. რა დააშავა მან? მას არა ჰყავს მშობლები. როგორმე რომ „დაეცხრო ცარიელი კუჭის წვა“, მშიერი ბიჭუნა რესტორანში შევიდა და მაგიდიდან ნაჭერი პური აიღო. და აი ამ პატარა ნაჭერი პურისათვის, რომლის შეჭმაც კი ვერ მოასწრო, იგი ციხეში ჩასვეს. 2. ავსტრიელი ბიჭუნა, რომელსაც შიმშილი აიძულებს ნაგვის ყუთი ქექოს. მისთვის არ არსებობს სკოლა, წიგნი, მკურნალობა, გასართობი. მთელი მისი გულისყური იმაზეა მიპყრობილი, რომ როგორმე პურის ნატეხი ან ნარჩენებიანი კონსერვის ქილა იშოვნოს.





# მშვიდობის პაქტისათვის!

### ინგლისში დაიწყო კამპანია კორეაში ომის შეწყვეტისა და ხუთი დიდი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის სასარგებლოდ

ლონდონი, 30 მაისი. (საკდესი). ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტს მოსდის პირველი ცნობები კორეაში ომის შეწყვეტისა და ხუთი დიდი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევისათვის კამპანიის შესახებ, რაც ინგლისში გაჩაღდა მშვიდობის დაცვის მოქმედების კონგრესის შემდეგ, რომელიც 17 მაისს გაიმართა მანჩესტერში.

აბერდინის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა 800 ხელმოწერა შეაგროვა პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს კორეაში მშვიდობის დამყარებას და ხუთი დიდი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევას. ხელმოწერილი ბლანკები ეგზავნება პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს.

ხელმოწერის შეგროვებას პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს კორეაში ომის შეწყვეტას, აქტიურად ეწევიან დასავლეთ უელსისა და ბედფორდის მშვიდობის დაცვის კომიტეტები.

ჰალიფაქსის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა მოაწყო ხელმოწერის შეგროვება პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს კორეიდან ინგლისის ჯარების გამოყვანას, თუ ამერიკელები კვლავ შეუშლიან ხელს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე შეთანხმების მიღწევას.

ბევრ ქალაქში იმართება მიტინგები მშვიდობის დაცვის და საერთაშორისო უთანხმოების მოწესრიგების ლოზუნგებით.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დანკენ ჯონსმა განაცხადა: „სავსებით აშკარაა, რომ მანჩესტერის კონგრესს მოჰყვა მნიშვნელოვანი აქტივიზაცია მოღვაწეობისა მშვიდობის დასაცავად. ჩვენ გვსურს, რომ ეს მოღვაწეობა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს მთელ ჩვენს ქვეყანაში“.

## მშვიდობის დაცვის მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). საფრანგეთში ფართოვდება მოძრაობა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად. გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, სენისა და უაზის დეპარტამენტის მშვიდობის საბჭო დიდი წარმატებით ავრცელებს მოსახლეობაში „მშვიდობის რვეულებს“, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას — მხარი დაუჭირონ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

მაგალითად, ქალაქ ქიუვიზი სიურ-ორჟის უბნების მეტ ნაწილში მცხოვრებთა დაახლოებით 80 პროცენტმა მოიწონა ხალხთა კონგრესის წინადადება მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

მშვიდობის დაცვის კამპანიის მსვლელობაში საწარმოებში იქმნება მშვიდობის დაცვის ახალი კომიტეტები.

## საფრანგეთის ფინანსური გაჭირვება

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). ავანსი 80 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, რომელიც 24 მარტს საფრანგეთის ბანკმა მეიერის მთავრობას მისცა, უნდა დაიფაროს 31 მაისს. მაგრამ, როგორც გაზეთი „ფრანს-სუარი“ იუწყება, მეიერის მთავრობამ, რომელიც ამჟამად გადამდგარია და დროებით ასრულებს მხოლოდ „მიმდინარე საქმეებს“, გუშინდელ საგანგებო სხდომაზე მიიღო კანონპროექტი ამ ავანსის დაფარვის ვადის 16 ივნისამდე განგრძობის შესახებ.

აღნიშნული კანონპროექტი, რომელიც ამტკიცებს შეთანხმებას ფინანსთა სამინისტროსა და საფრანგეთის ბანკის დირექტორს შორის, გუშინ განსახილველად გადაეცა ეროვნულ კრებას და მოკლე განხილვის შემდეგ დამტკიცებულ იქნა.

ამავე დროს გადამდგარმა მთავრობამ, იმავე გაზეთის ცნობით, მიმართა შეერთებული შტატების მთავრობას თხოვნით საფრანგეთისათვის ივნისის განმავლობაში გამოყოს 40 მილიარდი ფრანკი იმ ფონდებიდან, რომლებიც განკუთვნილია საფრანგეთის მრეწველობისათვის ამერიკის მიერ მიცემული სამხედრო შეკვეთების დასაფინანსებლად. შეერთებული შტატების საექსპორტო-საიმპორტო ბანკი, წერს „ფრანს-სუარი“, „პრინციპულად დაეთანხმა ამას, მაგრამ იმ პირობით, რომ საფრანგეთში შეიქმნება მყარი პოლიტიკური მდგომარეობა“, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით ფრანგების კუთვნილ ფულს იყენებს საფრანგეთზე პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებად.

## იტალიის პარლამენტის არჩევნების წინ

რომი, 29 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, პალმირო ტოლიატიმ გუშინ სიტყვა წარმოთქვა წინასაარჩევნო მიტინგზე კუნეოში. მან მოუწოდა მოსახლეობას ამხილოს ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი აიღეს თავიანთ ტრადიციებზე და დადეს თავისთვის არახელსაყრელი კავშირი კლერიკალურ პარტიასთან.

„დღეს, — თქვა ტოლიატიმ, — ნამდვილ ლიბერალად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც ცდილობს ქვეყნის მართვის გზა გაუხსნას შრომის ძალებს. ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელები მოკლებული არიან უნარს გააკეთონ ეს, ისევე როგორც ისინი მოკლებული არიან უნარს დაიცვან ეროვნული დამოუკიდებლობა ამერიკის იმპერიალიზმისაგან“.

ტოლიატიმ თავისი სიტყვის დასასრულს მოუწოდა კუნეოს მცხოვრებთ ხმა მისცენ კომუნისტურ პარტიას — დემოკრატიული თავისუფლებების, იტალიის დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ნამდვილ მებრძოლს.

რომი, 29 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ავანტი“ იუწყება მთავრობის ხელისუფალთა თვითნებობის ახალი აქტების შესახებ, რომლებიც მიმართულია დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. გაზეთი „ავანტი“ წერს, რომ მარტო ფოჯას პროვინციაში ხელისუფლებმა ჩამოაყენეს შვიდი მერი — კომუნისტები და სოციალისტები. ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ფოჯას პროვინციის 368 მცხოვრები შევიდა სოციალისტურ პარტიაში.

რომი, 29 მაისი. (საკდესი). ანსას სააგენტოს ცნობებიდან ჩანს, რომ იტალიის ხალხის მასები ენერგიულად ეწინააღმდეგებიან ნეოფაშისტებს. მაგალითად, ქალაქ ტრევიზოს მოსახლეობა სტვენით შეხვდა წინასაარჩევნო მიტინგზე გამოსულ ფაშისტ ალმირანტეს, რომელიც იძულებული გახდა სიტყვა შეეწყვიტა და მიტინგი მიეტოვებინა.

მილანში ერთ-ერთ მიტინგზე გამოსულმა ფაშისტმა ორატორმა მოსახლეობის პროტესტის შედეგად მიტინგი დატოვა. პოლიციამ მიტინგი დახურა, რომ თავიდან აეცილებინა შემდგომი ინციდენტები.

## საბჭოთა და ფრანგ ფრენბურთელთა ამხანაგური შეხვედრა პარიზში

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს პარიზის მუშათა გარეუბან ბულონ-ბიანკურში გაიმართა საბჭოთა კავშირის ფრენბურთელთა გუნდისა და საფრანგეთის „რენოს“ საავტომობილო ქარხნების გუნდის ამხანაგური შეხვედრა. თამაში დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 3:0 (15:6, 15:6, 15:5). ამის შემდეგ გაიმართა საბჭოთა ფრენბურთელების პირველ და მეორე შემადგენლობას შორის საჩვენებელი თამაში.

საბჭოთა სპორტსმენებს გულთბილად შეხვდნენ „რენოს“ ქარხნების მუშები და ბულონ-ბიანკურის გარეუბნის მოსახლეობა.



სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება „თბილისის ზღვის“ სანაპიროები. აქ დაირგო მრავალი მცენარე, აგებულია ლამაზი პავილიონები, სადაც დასასვენებლად მისულ მშრომელებს შეუძლიათ დაისვენონ, გემრიელად ისაუზმონ. **სურათზე:** „თბილისის ზღვის“ სანაპიროზე გაშენებული პავილიონები.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## თბილისის პიონერთა სასახლეში

12 წელია, რაც თბილისელმა ბავშვებმა მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — შესანიშნავად მოწყობილი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელიც ამ წლების მანძილზე გადაიქცა მათ ერთგულ მეგობრად, მრჩევლად, დამრიგებლად.

პიონერთა სასახლის სამსართულიან შენობაში არის 300 ნათელი ოთახი, თეატრალური დარბაზი, თოჯინების თეატრი, რამდენიმე საუცხოო საცეკვაო დარბაზი, ლექტორიუმი, სპორტული დარბაზები, მოედნები, ტირი, ფართო ნაკვეთი ნორჩი ნატურალისტებისათვის.

სასახლეში ამჟამად მუშაობს პიონერთა და მასობრივი მუშაობის, ტექნიკის, მხატვრული აღზრდის, ნორჩ ნატურალისტთა, მხარეთმცოდნეობისა და ფიზკულტურის განყოფილებები, დიდი ბიბლიოთეკა.

45 კაბინეტის 440 სხვადასხვა წრეში გაერთიანებულია 7.000 მოსწავლე. მათს განკარგულებაშია ფართო ნათელი დარბაზები, საჭირო მოწყობილობა, თვალსაჩინო ხელსაწყოები. მათ თავს დასტრიალებენ გამოცდილი, თავიანთი საქმის მცოდნე აღმზრდელები და ხელმძღვანელები.

პიონერთა სასახლეში ბავშვებთან ხშირად ხალისით მოდიან და თავიანთ მოღვაწეობაზე მოუთხრობენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანები, მწერლები, პოეტები, მეცნიერები, წარმოების ნოვატორები.

## საბავშვო ბიბლიოთეკა

შუახევში (აჭარის ასსრ) გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა. ბავშვები სიხარულით შეხვდნენ ბიბლიოთეკის გახსნას. ნორჩ მკითხველთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს.

## სემინარი

ორშაბათს, 1 ივნისს, საღამოს 8 საათზე პარტიული სკოლის შენობაში (შიო ჩიტაძის ქ. № 6) შედგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ეკონომიურ მეცნიერებათა მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა.

სამშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე პარტიული სკოლის შენობაში შედგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა.

## ევროპის VIII პირველობა კალათბურთში

მოსკოვი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). 29 მაისს დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე [illegible] 17 ქვეყნის [illegible] ფინალური შეჯიბრება ევროპის პირველობაზე.

საერთო ინტერესს იწვევდა 1-8 ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეხვედრა.

მოედანზე გამოდიან ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა იუგოსლაველთა სასარგებლოდ 34:25. მეორე ტაიმში ჩეხოსლოვაკი სპორტსმენები მეტი ენერგიით თამაშობდნენ, თუმცა გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწიეს. შეჯიბრება დამთავრდა იუგოსლავიის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 66:64.

ამავე დღეს მძაფრი ბრძოლის შემდეგ მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ისრაელის კალათბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს იტალიის გუნდი ანგარიშით 47:42 (პირველი ტაიმი — 30:18).

საბჭოთა კალათბურთელების და საფრანგეთის გუნდის გამოჩენას მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. მოწინააღმდეგენი მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირის გუნდი — ქორქია (კაპიტანი), სილინში, კონეევი, კულამი და პეტკიავიჩიუსი; საფრანგეთის გუნდი — მონკლარი, დესემი, ბიუფე, ვაშრესი და რეი.

ანგარიშს ხსნის კონეევი, მაგრამ მალე ბიუფე შორიდან ბურთის ზუსტი სროლით ათანაბრებს ანგარიშს — 2:2. საბჭოთა სპორტსმენები თანდათანობით აძლიერებენ ტემპს და შეჯიბრების პირველი ნახევარი მთავრდება 30:15. მეორე ტაიმში ინიციატივა კვლავ საბჭოთა სპორტსმენების მხარეზეა და შეჯიბრება დამთავრდა მათივე გამარჯვებით 80:51.

უნგრეთისა და ეგვიპტის გუნდების შეხვედრა აღინიშნა უნგრელ სპორტსმენთა შესანიშნავი თამაშით, რომლებმაც მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 89:50 (პირველი ტაიმი — 41:25).

ფინალში დაუმარცხებლად იბრძვიან საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ისრაელის გუნდები.

ნ. გუგუშვილი.

## რესპუბლიკური ჩემპიონატი შაშში

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის“ საჭადრაკო კლუბში ნახევარ თვეზე მეტს გრძელდებოდა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს შაშის მოთამაშეთა შეჯიბრება საქართველოს 1953 წლის პირად პირველობაზე.

შეჯიბრებაში პირველი, მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს ა. ნიკონოვმა (ბათუმი) და თბილისელმა შაშის მოთამაშეებმა ვ. კანდელაკმა და ს. საგიევმა, რომლებმაც შეაგროვეს ათი ქულა თვითეულმა.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. შ. ვ. ეგნატაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

ამხ. მ. ა. თათარაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. გ. პ. პაპასკუა და ამხ. ი. თ. მენთეშაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეებად.

ამხ. ნ. კ. ბარკალაია — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო-სანატორიული სამმართველოს უფროსი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. ვ. გ. გელაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ. გაათავისუფლა რა იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან კადრების დარგში.

ამხ. ბ. მ. კვინიხიძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. ა. გ. იმნაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მუშათა ორგანიზებული შეგროვების სამმართველოს უფროსად. (საქდესი).

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 31 მაისს | დღის 12 საათზე<br>დ. თორაძე — **გორდა** (ვ. ჭაბუკიანის ძონაწილეობით).<br>საღამოს<br>პ. ჩაიკოვსკი — **იოლანტა** (ე. შუძუკაიას ძონაწილეობით). |
| 1 ივნისს | შ. გუნო — **ფაუსტი და ვალპურგის ღამე** (ე. შუმსკაიას ძონაწილეობით). |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

**თბილისის ნავთობის ტექნიკუმი** იღებს მოსწავლეებს პირველი და მეორე კურსის შემდეგ სპეციალობებზე: ნავთობის საბადოების ძიება და გეოლოგია, ნავთობის ჭაბურღილების ბურღვა და ექსპლოატაცია.

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე, ხოლო მისაღები გამოცდები გაიმართება 1-დან 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება: ფორმის ტანსაცმელით და სტიპენდიით 285 მან. — 390 მანეთის რაოდენობით თვეში (ფრიადოსნებს სტიპენდია მიეცემათ დამატებით 25%-ის რაოდენობით). რაიონებიდან ჩამოსულებს დამატებით მიეცემათ ბინის დასაქირავებლად თანხა.

ცნობები გაიცემა ყოველდღე დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისამართი: თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. № 9.

**სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამთო ტექნიკუმი აცხადებს 1953-54 სასწავლო წლისათვის** მოსწავლეთა მიღებას ქართული და რუსული სექტორების I და III კურსებზე, შემდეგი სპეციალობებით: 1. „ქვანახშირის ბუდობების დამუშავება“ — ამზადებს ქვანახშირის ექსპლოატაციისა და მოპოვების დარგის სამთო ტექნიკოსებს, 2. „სამთო ელექტრომექანიკა“ — ამზადებს ტექნიკოსებს, სამთო ელექტრომექანიკოსებს ელექტრომექანიკურ მოწყობილობათა ექსპლოატაციისა და მონტაჟის დარგში.

ტექნიკუმში მიიღებიან: სსრ კავშირის მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკისა: პირველ კურსზე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ბ) რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), გ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, დამატებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

ის პირები, რომლებმაც 1952 და 1953 წლებში დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა ქების სიგელებით (ფრიადოსნები), ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ. მესამე კურსზე მისაღები პირები, რომლებმაც დაამთავრეს სრული საშუალო სკოლა 1952 წლამდე, ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სპეციალური სასწავლებლის პროგრამის ფარგლებში შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის ისტორიაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), უმაღლესი მათემატიკის ელემენტების გამოკლებით).

ქართულ სექტორზე შემსვლელნი კი დამატებით აბარებენ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა 1952 და 1953 წლებში, მესამე კურსზე ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში განცხადებები მიიღება 1953 წლის 31 ივლისამდე.

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს შემომსვლელის მიერ არჩეული სპეციალობა.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი დანართებით: ა) მოწმობა (ატესტატი) განათლების შესახებ (დედანი), ბ) დაბადების მოწმობა (დედანი) ან პასპორტი (წარმოადგენს პირადად), გ) ავტობიოგრაფია, დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), ე) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ვ) სამხედროვალდებულნი სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას წარმოადგენენ პირადად, ზ) ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 285-დან 390 მანეთამდე. ხუთოსნები მიიღებენ 25%-ით მეტ სტიპენდიას.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, წარმოებაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ იღებენ პერსონალურ წოდებას და უფლებას — მიიღონ ორდენები, მედლები და ყოველგვარი შეღავათები, რაც მთავრობის მიერ დადგენილია ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთათვის. ტექნიკუმთან არსებობს სასადილო და საერთო საცხოვრებელი.

მიღების საკითხზე ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართეთ ტექნიკუმში. მისამართი: ქ. ქუთაისი, მაიაკოვსკის გზატკეცილი № 2. სამთო ტექნიკუმი.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1 სექტემბერს.

კანცელარია ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ძმები ბახვა, გრიგოლ, ილარიონ, და მართა, რძალი თამარ, ძმისწულები აპოლონ, გოგუცა, მაგდალინა, ნელი, ნანული, ციალა, რძალი ნინო შვილებით იუწყებიან **ფილიპე ოქროპირისძე ოჩიგავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 1-VI 8 ს. გამოსვენება 2-VI, 6 ს. ბარნოვის ქ. № 25.

მეუღლე ქრისტინე, შვილები ვლადიმერ, თამარ, ლუბა, რძალი მარგალიტა, სიძე ე. ხვითარია, შვილიშვილები ალექსანდრე, ლილი, კარლო, კუკური, გიული, ლალი, დისწული ო. ღვამიჩავა იუწყებიან **გიორგი ბესარიონისძე მესხის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 1-VI, გამოსვენება 2-VI, 6 ს. ლოტკის ქ. № 13.

და ელისაბედ სულხანიშვილი, სიძე გრიგოლ ჯაფარიძე იუწყებიან ელენე **იოსების ასულ სულხანიშვილი-ამელჩენკოს** გარდაცვალებას. გამოსვენება 31-V, 5½ ს. რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პროზექტურიდან, კამოს ქ. № 47.

შვილები ვლადიმერ, მარგალიტა, ვერა, რძლები ცაცა, ტონია უგრეხელიძეები, სიძე დ. ქვანია, შვილიშვილები ლიზა, ზურაბ, მაყვალა, ნუნუ, მანანა, გენო, გიორგი, გურამ იუწყებიან **ოლია ალექსის ასულ ბაქრაძე-უგრეხელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VI, ს. კურსებში (ტყიბულის რაიონი).

შვილები გრიგოლ, შალვა, ნინო, რძლები ოლია, ანა, სიძე გრიგოლ ვაშაკიძე. შვილიშვილები ეთერ, ნოდარ, ციცინო, იუზა, ცირა, თამაზ იუწყებიან **დაფინ ანტონის ასულ ჩუბინიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-V ს. როდინაულში (სადგ. სვირი).

დები ძაბა, გოგონა, ძმა შალვა, რძალი ქენია ადანაიები, დისწული გიანა კილასონია, ძმისწულები ლუარა, ნანი ადანაიები, ნინუცა, ცირუ კუპავები იუწყებიან **ლუბა ესტატეს ასულ ადანაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 1-VI. 8 ს. გამოსვენება 4-VI, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 10.



[illegible] ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: [illegible] 81, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის [illegible]ობის — 3-06-88. წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

უე 03427.